

**ქვეყნის მარტინი**

**ლაგოსის უნივერსიტეტის  
არარგანულ კიბელი**



**„თეატრის უნივერსიტეტი“**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქეთევან მახაშვილი

ლაბორატორიული სამუშაოები  
პრაცემანულ ძიებაში



რეკომენდებულია საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს  
მიერ. 06.12.2017, ოქმი №3

თბილისი  
2017

დამხმარე სახელმძღვანელო შეიცავს ლაბორატორიულ სამუშაოებთან თემატურად დაკავშირებულ თეორიულ მასალას. მოკლედაა განხილული s-, p- და d- ელემენტები. მოცემულია ამ ელემენტების თვისებები და მათი ნაერთების გამოყენების სფეროები. აღწერილია არაორგანულ ქიმიაში ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების მეთოდები.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

**რეცენზენტები:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების  
ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი, ქიმიის  
მეცნიერებათა დოქტორი იოსებ შათირიშვილი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური  
ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის  
პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი  
დენიტა ბიბილეიშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2017

ISBN 978-9941-20-955-0

<http://www.gtu.ge>

შველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.



Verba volant,  
scripta manent

## შპსაგალი

ქიმია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც შეისწავლის ელემენტებს, მათ მიერ წარმოქმნილ ნაერთებს, მათ თვისებებს, გარდაქმნებს და ამ გარდაქმნების თანმხლებ მოვლენებს.

ქიმია პირველხარისხოვან როლს ასრულებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, როგორებიცაა მძიმე მრეწველობა, კვების მრეწველობა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა და მეცნიერების სხვადასხვა დარგი. უნდა აღინიშნოს მისი როლი სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საქმეში, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი დონისძიებების ჩატარებას:

- მინერალური, მაკრო- და მიკროსასუქების ფართო გამოყენება, როგორც მოსავლიანობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაზრდის საქმაოდ ძლიერი და ეფექტური საშუალება;
- კირის, თაბაშირისა და სხვა ნივთიერებების შეტანა ნიადაგის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად;
- ჰერბიციდების გამოყენება (სარეველების მოსასპობად);
- სტიმულატორების გამოყენება მცენარეებისა და მათი ნაყოფიანობის ზრდისათვის;
- შხამ-ქიმიკატების გამოყენება (მწერებისა და მდრღნელების მოსასპობად);

- მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა;
- ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ცხოველების საკვებ რაციონში.

ამრიგად, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ყველა დარგი დაკავშირებულია ქიმიასთან და მათი გამოყენების შესაძლებლობებთან.

**ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის  
უსაზროვნების ზოგადი წესები**

ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების შემდეგი წესები:

- 1) ლაბორატორიაში მუშაობისას აუცილებელია სპეციალური ტანსაცმლით უზრუნველყოფა (ბამბის ხალათი);
- 2) ლაბორატორიაში არ სებული ნივთიერებები მეტ-ნაკლებად მომწამვლელი და ცეცხლსაშიშია, ამიტომ აუცილებელია უსაფრთხოების დაცვა და წესრიგი;
- 3) არ უნდა დაგუშვათ ნივთიერებების კანთან შეხება, ხელებით არ უნდა შევეხოთ სახესა და თვალებს, მუშაობის დროს არ შეიძლება საკვების მიღება;
- 4) ყველა ჭურჭელზე, რომელშიც რეაქტივი ინახება, უნდა იყოს ზუსტი დასახელება. რეაქტივების გამოყენება უგზიავტო ჭურჭლიდან აკრძალულია;
- 5) კატეგორიულად აკრძალულია ქიმიური ნივთიერებების გემოს გასინჯვა. არ შეიძლება პირდაპირ შესუნთქვა;
- 6) ზოგიერთი ექსპერიმენტის ჩატარებისას, უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელია დამცავი სათვალით ან ნიდბით სარგებლობა;
- 7) მჟავების ან ტუბების ხსნარების ჩამოსხმა უნდა ხდებოდეს გამწოვ კარადაში, დამცავი სათვალით;

- 8) მეტალურ ნატრიუმთან მუშაობისას აუცილებელია მშრალი ჭურჭლის გამოყენება. არ შეიძლება ნატრიუმთან მუშაობა წყლის სიახლოვეს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ რეაქციაში შეუსვლელი ნატრიუმი უნდა შეგროვდეს ნავთიან ჭურჭელში;
- 9) გოგირდმჟავას განზავებისას, საჭიროა მჟავა ჩავასხათ წყალში მცირე ულუფებით, მუდმივი მორევის პირობებში და არა პირიქით;
- 10) სახე არ უნდა იყოს მიტანილი იმ ჭურჭელთან, რომელშიც სითხე ცხელდება, რადგან მოსალოდნელია გაშეფება;
- 11) სპირტჭურის ალი არ უნდა ჩავაქროთ სულის შებერვით, ამისთვის გამოყენებული უნდა იყოს მისი ხუფი;
- 12) არ შეიძლება ცდის ჩატარება ჭუჭყიან ჭურჭელში. ჭურჭელი უნდა გაირეცხოს ცდის დამთავრებისთანავე;
- 13) მშრალი ტუბები უნდა ავიდოთ მხოლოდ შპატგლით, მათი დაქუცმაცებისას კი აუცილებელია სათვალის გამოყენება;
- 14) კანზე კონცენტრირებული მჟავას მოხვედრისას, დამწვარი ადგილი უნდა ჩამოიბანოს დიდი რაოდენობის წყლით, შემდეგ კი – ნატრიუმის პიდროკარბონატის ( $\text{NaHCO}_3$ ) 2%-იანი ხსნარით; კონცენტრირებული ტუბის მოხვედრისას დაზიანებული ადგილი უნდა ჩამოიბანოს დიდი რაოდენობის

- წყლით, შემდეგ კი – 2%-იანი ბორმჟავას ან მმარ-მჟავას ხსნარით;
- 15) მჟავას ან ტუტის მოხვედრისას, თვალის ლორწოვან გარსზე, აუცილებელია მაშინვე მობანვა დიდი რაოდენობის წყლით, შემდეგ კი აუცილებლად მიმართეთ ექიმს;
  - 16) გაჭრის შემთხვევაში, ჭრილობა უნდა დამუშავდეს ჯერ კალიუმის პერმანგანატით ან სპირტით, შემ-ღებ კი – იოდით;
  - 17) მომწამვლელი გაზების (ქლორი, ბრომი, გოგირდ-წყალბადი, ნახშირბადის (II) ოქსიდი, ბუნებრივი გაზი) მოხვედრისას სასუნთქ გზებში, დაზარა-ლებული აუცილებელია გამოვიყვანოთ სუფთა პაერზე, ხოლო მძიმე შემთხვევაში დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს.


## ძიმიული ჰურგელი

ლაბორატორიაში ცდების ჩასატარებლად, გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების მინისა და ფაიფურის ქიმიური ჭურჭელი, რომელიც უნდა იყოს თერმომედეგი და მდგრადი ქიმიური რეაქციებისას. უფრო ხშირად იყენებენ მინისაგან დამზადებულ ჭურჭელს. ქიმიური ჭურჭელი მზადდება სხვადასხვა მარკის მინისაგან. თერმომედეგი და ქიმიურად მდგრადი ჭურჭლის დასამზადებლად იყენებენ სპეციალურ ბორსილიკატურ და კვარცულ მინას.

ფაიფური მინასთან შედარებით ხასიათდება მაღალი ქიმიური და თერმომედეგი თვისებებით. ფაიფურისაგან დამზადებული ჭურჭელი უფრო ძვირადღირებულია ვიდრე მინის, მაგრამ აქვს ერთი ნაკლი – გაუმჯორვალეა. ამიტომ ფაიფურის ჭურჭლის ჩამონათვალი საკმაოდ შეზღუდულია. ფაიფურისაგან ამზადებენ ძირითადად ჭიქებს, ბიუხნერის ძაბრებს, ასაორთქლებელ ჯამებს, ტიგელებს – ნივთიერებების მაღალ ტემპერატურაზე გასაშრობად.

ექსპერიმენტების ჩასატარებლად გამოყენებული ჭურჭელი იყოფა სამ ჯგუფად:


1. ზოგადი დანიშნულების – სინჯარები, ჭიქები, კოლბები (ბრტყელძირა, მრგვალძირა, კონუსური), ძაბრები და სხვა;



სინჯარები ჭიქები

კოლბები

ბრტყელძირა მრგვალძირა კონუსური  
(ერლენმეირის)




ძაბრები

საწვეთი ძაბრი

გამყოფი ძაბრი

2. საზომი ჭურჭელი – პიპეტები, ბიურეტები, საზომი კოლბები, მენზურები, ცილინდრები და სხვა;



1. საზომი მენზურა; 2. საზომი ჭიქა; 3. საზომი პიპეტი; 4. საზომი კოლბები

3. სპეციალური დანიშნულების – ექსიგაზორები, გიპის აპარატი და სხვა.



გიპის აპარატი



ექსიგაზორი

ქიმიური რეაქციები ბევრად უფრო ჩქარა მიმდინარეობს გათბობა-გაცხელებით, ამ მიზნით გამოიყენება სპირტქურა, ელექტროქურა და სხვა. ქიმიური ჭურჭლის დასამაგრებლად იყენებენ სხვადასხვა ფორმის შტატივს.



ელექტროსასწორი



ელექტროქურა



სპირტქურა



სინჯარის გამაცხელებელი



შტატივი



ფაიფურის ჯამები



ფაიფურის როდინი




მინის წკირები



რძინის შპატელი



ფაიფურის სხვადასხვა ზომის შპატელი



ფაიფურის სამჯუთხედი

**სინჯარები** – გამოიყენება სხვადასხვა ცდების ჩასატარებლად. მზადდება მინისაგან და პოლიქოლენისაგან;

**მინის წერი** – სხვადასხვა სისქისა და სიგრძის. გამოიყენება სითხეების შესარევად;

**ძაბრი** – გამოიყენება სითხეების გადასასხმელად და გასაფილტრად;

**ქიმიური ჭიქა** – სხვადასხვა მოცულობის. გამოიყენება ხსნარების დასამზადებლად და ქიმიური რეაქციების ჩასატარებლად, როგორც ოთახის ტემპერატურაზე, ისე გახურებისას;

**მრგვალძირა კოლბა** – გამოიყენება ხსნარების დასამზადებლად და შესანახად;

**საზომი ცილინდრი** – გამოიყენება ხსნარების მოცულობის გასაზომად;

**პიპეტი** – გამოიყენება ხსნარის მოცულობის ზუსტი გაზომვისათვის;

**საზომი კოლბა** – გამოიყენება ზუსტი კონცენტრაციის ხსნარების დასამზადებლად;

**ფაიფურის როდინი** – გამოიყენება მყარი ნივთიერებების დასაქუცმაცებლად, ნარევების შესარევად;

**ფაიფურის სამკუთხედი** – აუცილებელია ტიგელების, ჭიქების დასამაგრებლად შტატივზე;

**შპატელი** – აუცილებელია სხვადასხვა რეაქტივის ამოსაღებად;

**შტატივი** – გამოიყენება სინჯარაში ცდების ჩასატარებლად;


**სამაგრი სინჯარებისათვის** – აუცილებელია გახურებისას სინჯარის დასამაგრებლად;

**სპირტქურა, ელექტროქურა** – გამოიყენება ნივთიერებების გასახურებლად;

**სასწორი** – გამოიყენება ნივთიერებების ასაწონად.

## ლაპორატორიული სამუშაო №1

### წყალბადი



წყალბადი (H) პერიოდული სისტემის პირველი ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტია. მისი ატომური მასაა 1. ნაერთებში ამჟღავნებს +1 და -1 ჟანგვის სარისხს. ბუნებრივი წყალბადი შედგება სამი ოზოტოპი-საგან  ${}_1^1\text{H}$  – პროთოუმი,  ${}_1^2\text{H}$  – დეიტერიუმი და  ${}_1^3\text{H}$  – ტრი-თოუმი (მცირე რაოდენობითაა, რადიაქტიულია), რომ-ლებიც სხვადასხვა რაოდენობით მოიპოვებიან ბუნებაში.

წყალბადი უფერო, უსუნო, ყველაზე მსუბუქი გაზია. წყალში მცირედ იხსნება.

წყალბადი, ამ ჯგუფის სხვა ელემენტებისაგან განსხვავებით, აირად მდგომარეობაშია. წყალბადის ატომ-ში ერთი პროტონის გარშემო ბრუნავს ერთი ელექტრონი. სასიათდება უმდგრადობით, იგი უერთდება წყალბადის სხვა ატომს და წარმოქმნის მდგრადი ფორმის მოლექუ-ლას  $\text{H}_2$ . ზოგიერთი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით იგი ემსგავსება ჰალოგენებს (აირადი ნივთიერება, ჟანგვის სარისხი ნაერთებში -1 ტოლია და სხვ), რის გამოც მას ზოგჯერ ათავსებენ პერიოდული სისტემის VII ჯგუფში. მეორე მხრივ, ჰალოგენების მსგავსად, წყალბადი წარ-

მოქმნის ნაერთებს, რომელშიც, ტუტე მეტალების მსგავსად, ამჟღავნებს +1 ჟანგის ხარისხს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წყალბადი ამავდროულად განსხვავდება როგორც ტუტე მეტალებისაგან, ისე პალოგენუბისაგან. იგი ყველასაგან გამორჩეული ელემენტია, ეს იმით აიხსნება რომ წყალბადის ელექტრონული გარსი შედგება მხოლოდ ერთი ელექტრონისაგან და მის ატომში ხდება ამ ერთადერთი ელექტრონისა და ატომგულის ურთიერთქმედება.

წყალბადი ძირითადად წარმოქმნის კოვალენტურ ნაერთებს მაგალითად,  $\text{HCl}$  – პოლარული,  $\text{H}_2$  – არაპოლარული. მეტალებთან იძლევა იონურ ნაერთებს მაგ.,  $\text{NaH}$ , სადაც მისი ჟანგვის ხარისხია -1. ამასთანავე, წყალბადი ზოგიერთ ნაერთში – სპირტში, მჟავაში, წყალში ამჟღავნებს დამატებითი ბმის წარმოქმნის უნარს, რომელსაც წყალბადური ბმა ეწოდება.

წყალბადი მიეკუთვნება ბუნებაში მეტად გაგრცელებულ ელემენტს, გვხვდება როგორც თავისუფალ მდგომარეობაში (ატმოსფეროს ზედა ფენებში, ვულკანურ გაზებში და სხვ.), ისე ნაერთების სახით (წყალი, ნავთობი, ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები და სხვ.).

ლაბორატორიაში წყალბადს იღებენ განზ. გოგირდმჟავასთან ან მარილმჟავასთან მეტალების ურთიერთქმედებით.

## ცდა 1. წყალბადის მიღება თუთიაზე მჟავას მოქმედებით

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, გაწელილ-ბოლოიანი გადამყვანი მიღი, ასანთი, თუთიის პატარა ნაჭრები, მარილმჟავა.

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში მოათავსეთ თუთიის ნაჭერი და დაამატეთ მარილმჟავა, სინჯარის  $1/3$  მოცულობამდე. გამოყოფილი წყალბადი 3-4 წუთის განმავლობაში შეაგროვეთ გადმოტრიალებულ, შედარებით ფართო სინჯარაში. სინჯარასთან მიიტანეთ ანთებული ასანთი. წყალბადი სტვენით იწვის.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.



## **ცდა 2. წყალბადის ზეჟანგი, როგორც მჟანგავი**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კალიუმის იოდიდიას (KJ) ან ნატრიუმის იოდიდის (NaJ) ხსნარი, 3%-იანი წყალბადის ზეჟანგი ( $H_2O_2$ ), განზ. გოგირდმჟავა ( $H_2SO_4$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით 1 მლ წყალბადის ზეჟანგი, დაამატეთ განზ. გოგირდმჟავა და რამდენიმე წვეთი KJ-ის ან NaJ-ის ხსნარი, დაამატეთ რამდენიმე წვეთი სახამებელი. რას ამჩნევთ?

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა და გაათანაბრეთ ჟანგვა-აღდგენით.

## **ცდა 3. წყალბადის ზეჟანგი, როგორც აღმდგენი**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კალიუმის პერმანგანატი ( $KMnO_4$ ), განზ. გოგირდმჟავა ( $H_2SO_4$ ), 3%-იანი წყალბადის ზეჟანგი ( $H_2O_2$ ).

**ცდის მსვლელობა:** ორ სინჯარაში ჩაასხით კალიუმის პერმანგანატის ხსნარი. ერთ სინჯარას დაუმატეთ რამდენიმე წვეთი განზ. გოგირდმჟავა. შემდეგ ორივე სინჯარას დაამატეთ წყალბადის ზეჟანგი.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა და გაათანაბრეთ ჟანგვა-აღდგენით.

#### **ცდა 4. წყალბადის ზეჟანგის დაშლა**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, 3%-იანი წყალბადის ზეჟანგი ( $H_2O_2$ ), მანგანუმის ორჟანგი ( $MnO_2$ ).

**ცდის მსვლელობა:** ა) სინჯარაში ჩაასხით წყალბადის ზეჟანგი და სინჯარა შეათბეთ.

ბ) სინჯარაში მოათავსეთ წყალბადის ზეჟანგი და დაუმატეთ მცირე რაოდენობით მანგანუმის ორჟანგი.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## ლაპორატორიული სამუშაო №2

### I ჯგუფის s-ელემენტები – ტუტე მეტალები

პერიოდული სისტემის I ჯგუფის მთავარი ქვე-ჯგუფის ელემენტებია Li, Na, K, Rb, Cs, Fr, ისინი s-ელემენტებია, მათ ტუტე მეტალები ეწოდებათ. ამ ჯგუფის ელემენტების ურთიერთმსგავსებას განაპირობებს სავალენტო შრის ერთნაირი კონფიგურაცია – ns<sup>1</sup>.

ზევიდან ქვევით, რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, ტუტე მეტალებში ატომის რადიუსის ზრდის გამო, იონიზაციის ენერგია მცირდება, რაც მეტალური თვისებების გაძლიერებას განაპირობებს. ტუტე მეტალები ხასიათდება ძლიერი მეტალური თვისებებით, ადგილად გასცემენ ერთ სავალენტო ელექტრონს, რის გამოც შესწევთ იონური ნაერთების წარმოქმნის უნარი. მათი ჟანგვის ხარისხი ნაერთებში ძირითადად +1-ია.

ტუტე მეტალები წარმოქმნის RH ტიპის წყალბად-ნაერთებს, R<sub>2</sub>O ტიპის ოქსიდებს და ROH ტიპის ჰიდროქსიდებს.

## ნატრიუმი და კალიუმი

ნატრიუმი (Na) პერიოდული სისტემის მესამე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 11, ატომური მასაა 22,990 (23).

მისი ელექტრონული ფორმულაა  $_{11}\text{Na}$   $1s^22s^22p^63s^1$ .

	s	p		
3	↑			
2	↑↓	↑↓	↑↓	↑↓
1	↑↓			

კალიუმი (K) მეოთხე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 19, ატომური მასაა 39,102 (39).

მისი ელექტრონული ფორმულაა  $_{19}\text{K}$   $1s^22s^22p^63s^23p^64s^1$

	s	p		
4	↑			
3	↑↓	↑↓	↑↓	↑↓
2	↑↓	↑↓	↑↓	↑↓
1	↑↓			

ამ ელემენტების მაქსიმალური ჟანგვის ხარისხია +1.

არსებობს ნატრიუმის 5 იზოტოპი  $^{21}\text{Na}$ ,  $^{22}\text{Na}$ ,  $^{23}\text{Na}$ ,  $^{24}\text{Na}$ ,  $^{25}\text{Na}$  მათგან ბუნებაში გავრცელებული და სტაბილურია  $^{23}\text{Na}$ , ხოლო კალიუმის იზოტოპებიდან:  $^{39}\text{K}$ ,  $^{40}\text{K}$ ,  $^{41}\text{K}$ ,  $^{42}\text{K}$ ,  $^{43}\text{K}$  – სტაბილურია  $^{39}\text{K}$ (93,1%),  $^{40}\text{K}$  (0,011%) და  $^{41}\text{K}$ (6,9%).

ნატრიუმი და კალიუმი რბილი, მსუბუქი, ვერცხლისფერი მეტალებია. ისინი იწვის ჟანგბადში, მაგრამ არა შესაბამისი ოქსიდების, არამედ პეროქსიდების წარმოქმნით. მათ შესაბამის ჰიდროქსიდებს მწვავე ტუტეები ეწოდება. ისინი თეთრი ფერის კრისტალური ნივთიერებებია, წყალში კარგად იხსნებიან, რომლის დროსაც გამოიყოფა სითბო. ჰაერზე ისინი შედიან რეაქციაში ჟანგბადთან და წყლის ორთქლთან, რის გამოც მათ ინახავენ ნავთში. ტუტე მეტალები კარგად იხსნება ვერცხლის-წყალში და წარმოქმნის ე.წ. ამალგამებს (ვერცხლის-წყლის ნაერთები). მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული ტუტეა ნატრიუმის ჰიდროქსიდი ( $\text{NaOH}$ ) ანუ კაუსტიკური სოდა.

იმის გამო, რომ ტუტე მეტალები გამოირჩევა მაღალი ქიმიური აქტიურობით, ბუნებაში ისინი მხოლოდ ნაერთების სახით გვხვდება. ნატრიუმის უმნიშვნელოვანები ბუნებრივი ნაერთია  $\text{NaCl}$ , რომელიც გვხვდება როგორც ქვამარილის სახით, ისე ზღვის, ოკეანეების წყლის შემადგენლობაში. ბუნებაში ფართოდაა გავრცე-

ლებული აგრეთვე ნატრიუმის სილიკატები, ნიტრატები და სხვა.

ნატრიუმის მარილებიდან აღსანიშნავია სუფრის მარილი ( $\text{NaCl}$ ), ნატრიუმის ჰიდროკარბონატი ( $\text{NaHCO}_3$ ) საჭმელი სოდა, რომელებიც ფართოდ გამოიყენება, როგორც კვების მრეწველობაში, ისე მედიცინაში.

კალიუმი იმ ელემენტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც აუცილებელია მცენარეთა ნორმალური განვითარებისათვის. ნიადაგში კალიუმის ნაკლებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლიანობას, მცენარეთა მდგრადობას, არასასურველი პირობების მიმართ. ამიტომ კალიუმის მაღნების თითქმის 90% სასუქებად გამოიყენება. კალიუმშემცველი უმნიშვნელოვანესი სასუქებია:

სილვინიტი –  $\text{NaCl} \cdot \text{KCl}$  და კაინიტი  $\text{MgSO}_4 \cdot \text{KCl} \cdot 3\text{H}_2\text{O}$ ;  
ხისა და ტორფის ნაცარი, რომელიც შეიცავს პოტაშს  $\text{K}_2\text{CO}_3$ -ს.

## **ცდა 1. ნატრიუმის ჰიდროქსიდის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ქიმიური ჭიქა, ფაიფურის ჯამი, ნატრიუმის კარბონატი ( $\text{Na}_2\text{CO}_3$ ), ჩამქრალი კირი  $\text{Ca}(\text{OH})_2$ , ფენოლფტალეინი, სპილენის (II) სულფატი  $\text{CuSO}_4$ .

**ცდის მსვლელობა:** ქიმიურ ჭიქაში მოათავსეთ დაახლოებით 5 გრ ნატრიუმის კარბონატის ფხვნილი და გახსენით 50 მლ გამოხდილ წყალში. სსნარი გადაიტანეთ ფაიფურის ჯამში და გააცხელეთ ადუდებამდე. წინასწარ როდინში კარგად გასრისეთ 10 გრ ჩამქრალი კირი და ნელ-ნელა დაამატეთ მიღებული სსნარი, თან გამუდმებით ურიეთ მინის წკირით. სსნარი ადუდეთ დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში. მიღებული სსნარი გაფილტრეთ. ფილტრატი გადაიტანეთ ფაიფურის ჯამში და ააორთქლეთ მშრალი პროდუქტის მიღებამდე. მიღებული პროდუქტი გახსენით წყალში და გაყავით ორ ნაწილად. ერთს დაამატეთ ფენოლფტალეინი, ხოლო მეორეს – სპილენის (II) სულფატი.

დააკვირდით ცდის მსვლელობას.

დაწერეთ შესაბამისი ქიმიური რეაქციის ტოლობა.

## **ცდა 2. ნატრიუმის ჰიდროქსიდის თვისებები**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, ინდიკატორის ქაღალდი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი  $\text{NaOH}$ , გოგირდმჟავა  $\text{H}_2\text{SO}_4$ , სპილენბის (II) სულფატის ( $\text{CuSO}_4$ ) ხსნარი, ამონიუმის ქლორიდის ( $\text{NH}_4\text{Cl}$ ) ხსნარი.

**ცდის მსვლელობა:**

**ა) ურთიერთქმედება მჟავებთან**

სინჯარაში ჩაასხით 2-3 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდი და დაამატეთ ფენოლფტალეინი, აღნიშნეთ ხსნარის შეფერილობის ცვლილება, შემდეგ წვეთ-წვეთობით დაამატეთ გოგირდმჟავა, ხსნარის გაუფერულებამდე.

**ბ) ურთიერთქმედება მარილებთან**

სინჯარაში ჩაასხით 2-3 მლ ნატრიუმის ჰიდროქსიდი და დაამატეთ იმავე რაოდენობის სპილენბის (II) სულფატის ხსნარი. წარმოიქმნება ცისფერი ნალექი.

სინჯარაში ჩაასხით 1-2 მლ ამონიუმის ქლორიდის ხსნარი და დაამატეთ იმდენივე ნატრიუმის ჰიდროქსიდი. სინჯარა ფრთხილად გააცხელეთ.

შეიმჩნევა ამიაკის მკვეთრი სუნი, სველი ინდიკატორის ქაღალდი გალურჯდება.

დაწერეთ შესაბამისი ქიმიური რეაქციის ტოლობები.

### ცდა 3. ტუტე ლითონებით აღის შეფერვა

მოწყობილობა და რეაქტივები: ფაიფურის ტიგე-ლები, ასანთი, ნატრიუმის, კალიუმის, ბარიუმის მარილის ხსნარები, ეთილის სპირტი.

ცდის მსგლელობა: ფაიფურის ტიგელებში ჩასხით ნახევარი მიკრომპატელი ნატრიუმის, კალიუმის მარილის ხსნარები. დაამატეთ ეთილის სპირტი, მოურიეთ, ასანთით მოუკიდეთ ცეცხლი და დააკვირდით აღის შეფერილობას, რომელიც უფრო შესამჩნევი იქნება წვის ბოლოს.

მონაცემები შეიტანეთ ცხრილში.

მეტადი	აღის შეფერილობა
ნატრიუმი	ყვითელი
კალიუმი	მოვარდისფრო იისფერი

## ლაბორატორიული სამუშაო № 3

### II ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტები

II ჯგუფის მთავარ ქვეჯგუფში მოთავსებულია: ბერილიუმი (Be), მაგნიუმი (Mg), კალციუმი Ca, სტრონციუმი Sr, ბარიუმი Ba და რადიუმი Rd. თვისებებით განსაკუთრებით მსგავსია ბოლო ოთხი ელემენტი, რომლებსაც „ტუტემიწათა“ მეტალები ეწოდება.

II ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტები s ელემენტებია. მათ ურთიერთმსგავსებას განაპირობებს სავალენტო შრის ერთნაირი ელექტრონული კონფიგურაცია ( $ns^2$ ). ისე როგორც ნებისმიერ მთავარ ქვეჯგუფში, ზევიდან ქვევით რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, იონიზაციის ენერგია მცირდება, რაც მეტალური თვისებების გაძლიერებას განაპირობებს. მათი ჟანგვის ხარისხი მუდმივად +2-ის ტოლია, ამიტომ შესაბამისად წარმოქმნიან RO ტიპის ოქსიდებს, RH<sub>2</sub> ტიპის წყალბადნაერთებს და R(OH)<sub>2</sub> ტიპის ჰიდროქსიდებს. Be-ის ჰიდროქსიდი ამფოტერულია, Mg-ის – ფუძეა, ხოლო დანარჩენი ძლიერი ფუძეებია (ტუტემიწათა).

ტუტემიწათა მეტალები წარმოქმნის, როგორც იონურ, ასევე კოვალენტურ პოლარულ ნაერთებს.

## მაგნიუმი და კალციუმი

მაგნიუმი (Mg) პერიოდული სისტემის მესამე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 12, ატომური მასაა 24,305 (24).

მისი ელექტრონული ფორმულაა  ${}_{12}^{\text{Mg}} \quad 1s^2 2s^2 2p^6 3s^2$

	s	p		
3	↑↓			
2	↑↓	↑↓	↑↓	↑↓
1	↑↓			

აგზ. მდგომარეობაში მაგნიუმს გარე სავალენტო შრეზე უჩნდება 2 გაუწყვილებელი ელექტრონი, ამიტომ მისი ჟანგვის ხარისხი ნაერთებში მუდმივად +2-ის ტოლია.

s	p			
3	↑	↑		

ცნობილია მაგნიუმის 22 ოზოგოვრი, რომელთაგან სტაბილურია  ${}^{24}\text{Mg}$ ,  ${}^{25}\text{Mg}$ ,  ${}^{26}\text{Mg}$ .

მაგნიუმი მოვერცხლისფრთ-თეთრი, მსუბუქი, ჭედადი ლითონია. დედამიწის ქერქში მინერალური ნივთიერებ-

ბების გავრცელების მიხედვით მერვე ადგილზეა, მისი ბუნებრივი წყაროა ზღვის წყალი. მაგნიუმის ძირითადი მინერალებია:

- ზღვის წყალი – (0,12 - 0,13 %),
- კარნალიტი –  $MgCl_2 \cdot KCl \cdot 6H_2O$  (8,7 %),
- ბიშოფიტი –  $MgCl_2 \cdot 6H_2O$  (11,9 %),
- კიზერიტი –  $MgSO_4 \cdot H_2O$  (17,6 %),
- ეფსომიტი –  $MgSO_4 \cdot 7H_2O$  (9,9 %),
- კაინიტი –  $KCl \cdot MgSO_4 \cdot 3H_2O$  (9,8 %),
- მაგნეზიტი –  $MgCO_3$  (28,7 %),
- დოლომიტი –  $CaCO_3 \cdot MgCO_3$  (13,1 %),
- ბრუსიტი –  $Mg(OH)_2$  (41,6 %).


კალციუმი (Ca) პერიოდული სისტემის მესამე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 20, ატომური მასაა 40,0 (40).

მისი ელექტრონული ფორმულაა  $_{20}Ca$   $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 4s^2$

s            p

4	$\uparrow\downarrow$				
3	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$	
2	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$	
1	$\uparrow\downarrow$				

აგზ. მდგომარეობაში კალციუმის გარე სავალენტო შრეზე, მაგნიუმის მსგავსად, ჩნდება 2 გაუწყვილებელი ელექტრონი, ამიტომ მისი ჟანგვის ხარისხი ნაერთებში მუდმივად +2-ის ტოლია.



ცნობილია მაგნიუმის 25 იზოტოპი, რომელთაგან სტაბილურია  $^{40}\text{Ca}$ ,  $^{42}\text{Ca}$ ,  $^{43}\text{Ca}$ ,  $^{44}\text{Ca}$ და  $^{46}\text{Ca}$ .

კალციუმი ბუნებაში გავრცელებული ელემენტია, გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:  $\text{CaCO}_3$  – კირქვა, ცარცი და მარმარილო;  $\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$  – თაბაშირი:  $\text{Ca}_3(\text{PO}_4)_2$  – ფოსფორიტები და აპატიტები. შედის ძვლის შემადგენლობაში. კალციუმის მარილებს გახსნილ მდგომარეობაში შეიცავს ნიადაგი და ბუნებრივი წყლები.

კალციუმი მოვერცხლისფრო-თეთრი საკმაოდ პლასტიკური, მსუბუქი მეტალია.

ბუნებრივი წყალი შეიცავს Ca-ისა და Mg-ის სხვადასხვა მარილებს გახსნილ მდგომარეობაში. თუ ისინი მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წყალში ასეთ წყალს ხისტი წყალი ეწოდება, თუ მცირე რაოდენობით – რბილი

წყალი. წყლის სიხისტე ორგვარია: დროებითი, ანუ კარბონატული და მუდმივი ანუ არაკარბონატული. ორიგე ერთად შეადგენს წყლის საერთო სიხისტეს. წყლის დროებით სიხისტეს განაპირობებს Ca-ისა და Mg-ის ჰიდროკარბონატების არსებობა, მუდმივ სიხისტეს კი – მათი სულფატები, ქლორიდები და სხვა.

წყლის სიხისტეს ზომავენ Ca-ისა და Mg-ის იონების მილიგრამეკვივალენტების რიცხვით ერთ ლიტრ წყალში.

$$\text{სიხისტე} = \frac{\lceil Ca^{+2} \rceil}{20} + \frac{\lceil Mg^{+2} \rceil}{12}.$$

## ცდა 1. მაგნიუმის პიდროქსიდის მიღება

მოწყობილობა და რეაქტივები: სინჯარა, 2N ნატ-რიუმის პიდროქსიდი ( $\text{NaOH}$ ), მაგნიუმის მარილი, 2N მარილმჟავა ( $\text{HCl}$ ), 2N ამონიუმის ქლორიდი ( $\text{NH}_4\text{Cl}$ ).

ცდის მსვლელობა: სინჯარაში ჩაასხით 1-2 მლ 2N ნატრიუმის პიდროქსიდი და დაამატეთ იმავე რაოდენობის მაგნიუმის მარილი, მიიღება მაგნიუმის პიდროქსიდის თეთრი ფერის ნალექი. ნალექი გაანაწილეთ სამ სინჯარაში. პირველს დაამატეთ წვეთობით 2N მარილმჟავა, მეორე სინჯარას დაამატეთ 2N ამონიუმის ქლორიდის სსნარი, ხოლო მესამეს – ნატრიუმის ტუტე.

აღწერეთ ჩატარებული ცდა, დაწერეთ შესაბამისი რეაქციები. გააკეთეთ დასკვნა მიმდინარე მოვლენებზე.

## ცდა 2. მაგნიუმის ფუძე მარილის მიღება

მოწყობილობა და რეაქტივები: სინჯარები, მაგნიუმის სულფატი ( $\text{MgSO}_4$ ), ამონიუმის ქლორიდი ( $\text{NH}_4\text{Cl}$ ), სოდა ( $\text{Na}_2\text{CO}_3$ ).

ცდის მსვლელობა: სინჯარაში ჩაასხით მაგნიუმის სულფატის სსნარი, დაამატეთ სოდის სსნარი. წარმოიქნება თეთრი ფერის ნალექი  $\text{Mg}_2(\text{OH})_2\text{CO}_3$ . მიღებულ ნა-

ლექს დაამატეთ ამონიუმის ქლორიდი, დააკვირდით ნალექის გახსნას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

### ცდა 3. მეტალური მაგნიუმის თვისებები

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, მაგნიუმის ნატეხები, კონც. და განზ. მარილმჟავა ( $HCl$ ), აზოტმჟავა ( $HNO_3$ ), გოგირდმჟავა ( $H_2SO_4$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარებში მოათავსეთ მაგნიუმის ნატეხები და დაუმატეთ ჯერ კონც. მარილმჟავა, აზოტმჟავა, გოგირდმჟავა, შემდეგ – განზ. მჟავები.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

### ცდა 4. წყლის დროებითი სიხისტის განსაზღვრა

**მოწყობილობა და რეაქტივები:** კონუსური კოლბა, ბიურეტი, ცილინდრი, მეთილნარინჯი, 0,1 N მარილმჟავა ( $HCl$ ).

**ცდის მსვლელობა:** კონუსურ კოლბაში ჩაასხით 100 მლ საანალიზო წყალი, დაამატეთ 2-3 წვეთი მეთილნარინჯი. ხსნარი გატიტრეთ 0,1 N მარილმჟავათი ყვითლიდან ნარინჯისფერ-ვარდისფერ შეფერილობამდე. განსაზღვრეთ დახარჯული მარილმჟავას რაოდენობა.

შედგებები შეიტანეთ ცხრილში.

N <sup>o</sup>	წყლის მოცულობა, $V(H_2O)$ , მლ	HCl-ის მოცულობა, $V(HCl)$ , მლ	HCl-ის საშ. მოცულობა, $V_{bs\%}(HCl)$ , მლ	HCl-ის ნორმალობა, $C_N(HCl)$ , მლ/ლ

გამოთვალეთ დროებითი სიხისტე

$$\text{დროებითი სიხისტე} = \frac{C_N(HCl) \cdot V_{bs\%}(HCl)}{V(H_2O)} \cdot 100.$$

## ლაბორატორიული სამუშაო № 4

### III ჯგუფის მთავარი ქემიკური

III ჯგუფის მთავარი ქემიკური ელემენტებია B, Al, Ga, In, Tl. ისინი მიეკუთვნებიან p ელემენტების ოჯახს. მათ ურთიერთმსგავსებას განაპირობებს სავალენტო შრის ერთნაირი კონფიგურაცია  $ns^2np^1$ . ისევე როგორც ნების-მიერი მთავარი ქემიკურის ზღვრებში, აქაც, ზევიდან ქვევით რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, იონიზა-ციის ენერგია თანდათანობით მცირდება (იონის რადიუსი იზრდება), რაც განაპირობებს მეტალური თვისებების თანდათანობით გაძლიერებას. ამ ჯგუფის ელემენტებიდან ბორი არამეტალია, ალუმინი და გალიუმი ამფოტერული თვისებისაა, მაგრამ მათში მეტალური თვისებები უფრო მკვეთრადაა გამოხატული.

გარე სავალენტო შრეზე აქვთ 3 ელექტრონი. ნაერთებში ამჟღავნებენ +3 ფანგვის ხარისხს.

ამ ქემიკურის ელემენტები წარმოქმნიან მხოლოდ კოვალენტური ტიპის ნაერთებს,  $R_2O_3$  ტიპის ოქსიდებს და  $R(OH)_3$  ტიპის ჰიდროქსიდებს.

## ალუმინი, ბორი

III ჯგუფის მთავარი ქანკანუფის მნიშვნელოვანი ელემენტებია ბორი და ალუმინი.

ალუმინი (Al) პერიოდული სისტემის მესამე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 13, ატომური მასაა 26,9815 (27).

მისი ელექტრონული ფორმულაა  $_{13}\text{Al} \quad 1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^1$

s	p			
3	$\uparrow\downarrow$	$\uparrow$		
2	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$	$\uparrow\downarrow$
1	$\uparrow\downarrow$			

s	p			
3	$\uparrow$	$\uparrow$		

ალუმინი მოვერცხლისფრო თეთრი ფერის მსუბუქი, მექანიკურად მტკიცე, ჭედადი, პლასტიკური, წელვადი მეტალია, ელექტრობის კარგი გამტარია. ბუნებრივი ალუმინი შედგება ერთი სტაბილური იზოტოპისაგან  $^{27}\text{Al}$  (100%), არსებობს არასტაბილური იზოტოპებიც  $^{26}\text{Al}$ ,  $^{28}\text{Al}$ ,  $^{29}\text{Al}$ .

ალუმინი ბუნებაში ფართოდ გავრცელებული ელემენტია, მისი ნაერთებიდნ ადსანიშნავია – ალუმოსილიკატები, ბიოქსიტები, კრიოლიტი.

ბორი (B) პერიოდული სისტემის მეორე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 5, ატომური მასაა 10,811 (11).

მისი ელექტრონული ფორმულაა  ${}_5\text{B}$   $1s^22s^22p^1$

	s	p		
2	↑↓	↑		
1	↑↓			

ბორი უფერო, რუხი, წითელი კრისტალური ან მუქი ამორფული ნივთიერებაა. ბუნებრივი ბორი ორი სტაბილური იზოტოპისაგან შედგება  ${}^{10}_5\text{B}$  და  ${}^{11}_5\text{B}$ . ელემენტარული ბორი ბუნებაში არ გახვდება, გავრცელებულია ბოროსილიკატებისა და ბორატების სახით, იზომორფული მინარევების სახით შედის ამოფრქვეული დანალექი ქანების მინერალებში. ბორი არის ნავთობსა და ზღვის წყალში, მარილიან ტბებში, ცხელ წყაროებში. ბორი მნიშვნელოვანი მიკროელემენტია, რომელიც აუცილებელია მცენარეების ნორმალური განვითარებისათვის.

მართალია ბორი III ჯგუფის ელემენტია, მაგრამ თვისებებით უფრო ემსგავსება არა ამ ჯგუფის სხვა ელემენტებს, არამედ IV ჯგუფის ელემენტს – სილი-

ციუმს. ბორს არამეტალური თვისებები აქვს. ნაკლებ რეაქციისუნარიანია, ოთახის ტემპერატურაზე ურთიერთ-ქმედებს მხოლოდ ფტორთან, ჰაერზე არ იუანგება.

## ცდა 1. ბორმჟავას აღმოჩენა

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ფაიფურის ჯამი, სპირტი, ბორმჟავას ( $H_3BO_3$ ) ნაჯერი ხსნარი.

**ცდის მსვლელობა:** ფაიფურის ჯამში დაწვით სპირტი, ის იწვის თითქმის უფერო ალით. როცა წვა დამთავრდება იმავე ჯამში დაამატეთ 5 მლ სპირტი და ბორმჟავას ( $H_3BO_3$ ) ნაჯერი ხსნარი დაწვით. დააკვირდით ალის შეფერილობას.

## ცდა 2. ორთობორმჟავას მიღება

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კონც. გოგირდმჟავა, ნატრიუმის ბორატის ( $Na_2B_4O_7$ )-ის ნაჯერი ხსნარი.

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით 5-6 წვეთი  $Na_2B_4O_7$ -ის ნაჯერი ხსნარი და გააცხელეთ, დაამატეთ 2-3 წვეთი კონც. გოგირდმჟავა. გამოიყოფა ორთობორმჟავას კრისტალები.

დაწერეთ რეაქციის ტოლობა, გაითვალისწინეთ, რომ რეაქციაში მონაწილეობს წყალი.

### **ცდა 3. ალუმინის ურთიერთქმედება მჟავებთან**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, ალუმინის პატარა ნაჭრები, კონც. და განზ. მარილმჟავა (HCl).

**ცდის მსვლელობა:** ორ სინჯარაში მოათავსეთ ალუმინის პატარა ნაჭრები. ერთს დაუმატეთ 5-6 წვეთი 2N მარილმჟავა, ხოლო მეორეს – იგივე რაოდენობით კონც. მარილმჟავა ( $\rho=1,19 \text{ г/см}^3$ ). დააკვირდით როგორ მიმდინარეობს რეაქცია განზ. და კონც. მარილმჟავასთან. რომელი გაზი გამოიყოფა.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.

### **ცდა 4. ალუმინის ჰიდროქსიდის მიღება და მისი თვისებები**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, ალუმინის პატარა ნაჭრები, კონც. და განზ. მარილმჟავა (HCl). ნატრიუმის ტუტე (NaOH).

**ცდის მსვლელობა:** ორ სინჯარაში ჩაასხით 2-3 წვეთი ალუმინის მარილის ხსნარი და დაუმატეთ 2-3 წვეთი 2N ნატრიუმის ტუტე ნალექის წარმოქმნამდე. მიღებულ ნალექს ერთ სინჯარაში დაუმატეთ 3-5 წვეთი 2N მარილმჟავა, ხოლო მეორეს 2N ნატრიუმის ტუტე.


დააკვირდით ცდის მიმდინარეობას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.


## ლაბორატორიული სამუშაო № 5

### IV ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტები

IV ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებია C, Si, Ge, Sn და Pb. ისინი ყველა ელემენტებია. მათ ურთიერთმსგავსებას განაპირობებს სავალენტო შრის ერთნაირი კონფიგურაცია  $ns^2np^2$ , სადაც 2 p ელექტრონი გაუწყვილებელია (ნორმ. მდგომარეობა). აგზნებულ მდგომარეობაში მათ უწნდებათ კიდევ ორი გაუწყვილებელი ალექტრონი ( $ns^1np^3$ )



ნორმ. მდგომარეობა



აგზ. მდგომარეობა

ამ ჯგუფის ელემენტების ქანგვის ხარისხი ნაერთებში ცვალებადია  $+2,+4, -4$  (პიდრიდებში  $RH_4$ ).

ისევე როგორც ნებისმიერ მთავარ ქვეჯგუფში, ზევიდან ქვევით რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, ატომის რადიუსის ზრდის გამო, ელექტროუარყოფითობა მცირდება, არამეტალური თვისებები სუსტდება. ნახშირბადის ქვეჯგუფის ელემენტები  $RO_2$  ტიპის უმაღლეს ოქსიდებს და  $RH_4$  ტიპის წყალბადნაერთებს.

## ნახშირბადი, სილიციუმი

ამ ჯგუფის ელემენტებიდან ნახშირბადი და სილიციუმი არამეტალებია, დანარჩენი კი ამფოტერულია, ყველაზე ძლიერი მეტალური თვისებები მქდაგნდება ტყვიაში.

**ნახშირბადი (C)** პერიოდული სისტემის მეორე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 6, ატომური მასაა 12,01115 (12).

მისი ელექტრონული ფორმულაა  ${}_{6}^{12}\text{C}$   $1s^22s^22p^2$ .

ბუნებრივი ნახშირბადი შედგება ორი სტაბილური –  ${}^{12}\text{C}$  (98,93 %),  ${}^{13}\text{C}$  (1,07 %) და ერთი რადიაქტიული  ${}^{14}\text{C}$  იზოტოპისაგან.

თავისუფალ მდგომარეობაში ნახშირბადი გვხვდება ხის ნახშირის, ალმასის და გრაფიტის სახით (ალოტროპიული სახესხვაობები). ალოტროპია გამოწვეულია კრისტალური მეხერის განსხვავებული აღნაგობით). ალმასი გამჭვირვალე კრისტალური ნივთიერებაა, ბუნებრივ ნივთიერებებს შორის ყველაზე მაგარია, ცუდად ატარებს სითბოს და ელექტრობას. მაღალ ტემპერატურაზე იწვის  $\text{CO}_2$ -ის წარმოქმნით. **გრაფიტი** მუქი რუხი ფერის მეტალური ბზინვარების რბილი ნივთიერებაა, კარგიდ ატარებს დენს. ჟანგბადში წვისას ნახშირბადი წარმოქმნის დიოქსიდ  $\text{CO}_2$ -სა და მონოქსიდს  $\text{CO}$ -ს.

ნაერთებიდან ძირითადად გვხვდება კალციუმისა და მაგნიუმის კარბონატების სახით (ცარცი, კირქვა, მარმარილო). ნახშირბადი ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

სილიციუმი (Si) პერიოდული სისტემის მესამე პერიოდის ელემენტია, მისი რიგობრივი ნომერია 14, ატომური მასაა 28,086 (28).

მისი ელექტრონული ფორმულაა  $_{14}\text{Si}$   $1s^22s^22p^63s^23p^2$ .

არსებობს სილიციუმის სამი სტაბილური იზოტოპი  $^{28}\text{Si}$  (92,27%),  $^{29}\text{Si}$  (4,68%) და  $^{30}\text{Si}$  (3,05%).

სილიციუმი ბუნებაში გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით. ძირითადი ნაერთებია: კაუი, კვარცი, მთის ბროლი, სილიკატები და ალუმინისილიკატები.

კრისტალური სილიციუმი რუხი ფერის, მყარი, ძალიან მაგარი და მყიფე ნივთიერებაა, მცირედ ატარებს ელექტრულ დენს. საერთოდ, ფიზიკური თვისებებით ძალიან წააგავს მეტალებს.

ნახშირბადი და სილიციუმი არ ურთიერთქმედებენ განჩ. მარილმჟავასთან და გოგირდმჟავასთან, კონც. აზოტმჟავასთან ამ ჯგუფის ყველა მარტივი ნივთიერება იუანგება.

## ცდა 1. ნახშირმჟავას მიღება

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა გაზგამყვნი მიღით, ქიმიური ჭიქა, საცობი, საწვეთი ძაბრი, პინცეტი, შტატივი, კალციუმის კარბონატი ( $\text{CaCO}_3$ ), ლაკმუსის ხსნარი.

**ცდის მსვლელობა:** გაზგამყვან მიღიან სინჯარაში მოათავსეთ კალციუმის კარბონატი, დაუცეთ საცობი საწვეთი ძაბრით. სინჯარა დაამაგრეთ შტატივზე. გაზგამყვანი მიღი ჩაუშვით ჭიქაში, რომელშიც ჩასხმულია ლაკმუსის ხსნარი. დააკვირდით ჭიქაში ფერის ცვლილებას.

დააკვირდით ცდის მიმდინარეობას. დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## ცდა 2. აზოტმჟავას ურთიერთქმედება ნახშირთან

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ქიმიური ჭიქა, ხის კვარი, აზოტმჟავა ( $\text{HNO}_3$ ).

**ცდის მსვლელობა:** ქიმიურ ჭიქაში ჩაასხით აზოტმჟავა. აიღეთ ხის კვარი და დაწვით. წკირის ბოლოზე წარმოქმნება ნახშირის ფერფლი. კვარი ჩაუშვით ჭიქაში, შეიმჩნევა ნახშირის მკვეთრი წვა და აზოტის დიოქსიდის მძაფრი ორთქლის წარმოქმნა.

აღწერეთ ცდის მსვლელობა და დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 3. ნახშირბადის ორჟანგის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ქიმიური ჭიქა, საცობი გაზგამყვანი მილით, კონც. მარილმჟავა (HCl), მარმარილოს ნატეხები, კირიანი წყალი.

**ცდის მსვლელობა:** კოლბაში ჩააგდეთ მარმარილოს პატარა ნატეხი, დაამატეთ რამდენიმე წვეთი წყალი და კონც. მარილმჟავა. სწრაფად დაახურეთ საცობი გაზგამყვანი მილით. მილის ბოლო ჩაუშვით ჭიქაში რომელშიც ჩასხმულია კირიანი წყალი.

აღწერეთ ცდის მსვლელობა და დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 4. ზოგიერთი მცირედ სსნადი ნახშირმჟავა მარილის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ქიმიური ჭიქა, სოდის სსნარი ( $\text{Na}_2\text{CO}_3$ ), ბარიუმისა და ვერცხლის მარილები.

**ცდის მსვლელობა:** აიღეთ ორი ჭიქა ჩაასხით 3-4 წვეთი სოდის სსნარი. ერთ სინჯარას დაამატეთ 3-4 წვეთი ბარიუმის მარილი, ხოლო მეორეს – ვერცხლის მარილი. ადნიშნეთ ნალექების წარმოქმნა და მათი შეფერილობა.

აღწერეთ ჩატარებული სამუშაო და შემჩნეული მოვლენები. დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## **ცდა 5. სილიციუმმჼავას მცირედ ხსნადი მარილის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კალციუმის ქლორიდი ( $\text{CaCl}_2$ ), კობალტის ნიტრატი ( $\text{Co}(\text{NO}_3)_2$ ), ბაგიის ნიტრატი ( $\text{Pb}(\text{NO}_3)_2$ ), სპილენის სულფატი ( $\text{CuSO}_4$ ), ნატრიუმის სილიკატი ( $\text{Na}_2\text{SiO}_3$ ).

**ცდის მსვლელობა:** აიღეთ ოთხი სინჯარა და ჩაასხით შემდეგი მარილების ხსნარები; I – კალციუმის ქლორიდი, II – კობალტის ნიტრატი, III – ბაგიის ნიტრატი, IV – სპილენის სულფატი. თითოეულ სინჯარას დაამატეთ 2-3 წვეთი ნატრიუმის სილიკატი. ადნიშნეთ წარმოქმნილი ნალექების ფერი.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## **ცდა 6. ნატრიუმის სილიკატის პიდროლიზი**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, ნატრიუმის სილიკატი ( $\text{Na}_2\text{SiO}_3$ ), ფენოლფტალეინი.

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით 3-5 წვეთი ნატრიუმის სილიკატი და ერთი წვეთი ფენოლფტალეინი. დააკვირდით შეფერილობის ცვლილებას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## ლაბორატორიული სამუშაო № 6

### V ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფი

V ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებია N, P, As, Sb, B, წარმოადგენენ პ ელემენტებს. მათ მსგავსებას განაპირობებს სავალენტო შრის ერთნაირი კონფიგურაცია  $ns^2np^3$ . ისინი წარმოქმნიან  $RH_3$  ტიპის წყალბადნაერთებს და  $R_2O_5$  ტიპის უმაღლეს ოქსიდებს. ამ ქვეჯგუფის ელემენტების ჟანგვის ხარისხი ცვალებადია და იცვლება  $-3$ -დან  $+5$ -მდე.

აზოტი ბუნებაში ძირითადად გვხვდება თავისუფალი სახით, იგი შეადგენს პაერის დაახლოებით 78%-ს. უფერო, უსუნო გაზია, წყალში მცირედ ხსნადი.

ამ ქვეჯგუფის პირველი წარმომადგენელია აზოტი. მისი ელექტრონული კონფიგურაციაა  $1S^22S^22p^3$

s	p			
2	$\uparrow\downarrow$	$\uparrow$	$\uparrow$	$\uparrow$
	$\uparrow\downarrow$			

ორატომიანი მოლეკულა, ატომები ერთმანეთთან დაკავშირებულია სამმაგი ბმით, ამიტომ ახასიათებს მაღალი მდგრადობა.

ბუნებრივი აზოტი შედგება ორი მდგრადი იზოტოპისაგან  $^{14}\text{N}$  (99,635%) და  $^{15}\text{N}$  (0, 365%). დედამიწაზე მისი შემცველობა შეადგენს 0,03%-ს. სამრეწველო მნიშვნელობის მინერალებიდან ცნობილია ჩილეს  $\text{NaNO}_3$  და ინდოქოსის  $\text{KNO}_3$  გვარჯილა.

აზოტი წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის. იგი ნაერთების სახით შედის ცილების, ამინომჟავების, ნუკლეიისმჟავების და სხვათა შემადგენლობაში. სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტია. რადგანაც ცილის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე, ამდენად გასაგებია რამდენად მნიშვნელოვანია ამ ელემენტის როლი ცოცხალი ბუნებისათვის.


მოსავლის აღებასთან ერთად ნიადაგში აზოტის შემცველობა კლებულობს და საჭირო ხდება მისი შევსება, რასაც ხელოვნურად აზოტშემცველი სასუქების შეტანით აღწევენ. აზოტშემცველი სასუქები 3 ჯგუფად იყოფა:

1. მინერალური სასუქები – გვარჯილები, ამონიუმის მარილები, თხევადი ამიაკი;
2. ორგანული სასუქები – ნაკელი და სხვ;
3. მწვანე სასუქები.

## ცდა 1. აზოტის მიღება ამონიუმის ნიტრიტის დაშლით

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ვიურცის კოლბა, შტატივი, სპირტჭურა, ცილინდრი, საწვეთი ძაბრი, ამონიუმის ქლორიდის ხსნარი ( $\text{NH}_4\text{Cl}$ ), ნატრიუმის ნიტრიტი ( $\text{NaNO}_2$ ).

**ცდის მსვლელობა:** ვიურცის კოლბა დაამაგრეთ შტატივზე, ჩაასხით ამონიუმის ქლორიდის ხსნარი, დაახურეთ საცობი საწვეთი ძაბრით და ჩაასხით ნატრიუმის ნიტრიტი. კოლბა მოათავსეთ აზბესტის ბადეზე. ვიურცის კოლბის გაზგამყვანი მილი შეაერთეთ წყლის აბაზანასთან, რომელშიც მოთავსებულია გადმოტრიალებული წყლიანი ცილინდრი. საწვეთი ძაბრიდან დაუმატეთ ნატრიუმის ნიტრიტი. კოლბა გააცხელეთ სპირტჭურის ალზე. ამ დროს წარმოიქმნება ამონიუმის ნიტრიტი, რომელიც გაცხელებისას იშლება აზოტისა და წყლის წარმოქმნით. აირი შეაგროვეთ ცილინდრში, შეიტანეთ ანთებული კვარი, იგი ჩაქრება. ცილინდრი დატოვეთ დიად რადაც დროის განმავლობაში და კვლავ შეიტანეთ ანთებული კვარი, კვარი განაგრძობს წვას.



## ცდა 2. ამიაკის მიღება და თვისებები

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, მინის წყირი, ინდიკატორის ქაღალდი, ამონიუმის ქლორიდი ( $\text{NH}_4\text{Cl}$ ), კალციუმის ჰიდროქსიდი ( $\text{Ca}(\text{OH})_2$ ), კონც. მარილ-მჟავა ( $\text{HCl}$ ).

**ცდის მსვლელობა:** მშრალ სინჯარში მოათავსეთ 0,5 გ ამონიუმის ქლორიდის და კალციუმის ჰიდროქსიდის (1:2) კარგად შერეული ნარევი. სინჯარა გაახურეთ. შეიმჩნევა გამოყოფილი ამიაკის სუნი. სინჯარის თავზე მოათავსეთ წყალში დასველებული ინდიკატორის ქაღალდი. დააკვირდით რა ხდება.

მინის წყირი დაასველეთ კონც. მარილმჟავაში და მიიტანეთ სინჯარასთან და დააკვირდით ცდის მიმდინარეობას.

დაწერეთ ამონიუმის ქლორიდისა და კალციუმის ჰიდროქსიდის ურთიერთქმედების რეაქციის ტოლობა. ახსენით ამიაკის წყალსნარს რატომ აქვს ტუტე არე. დაწერეთ ამიაკსა და მარილმჟავას შორის ურთიერთქმედების რეაქცია.

### **ცდა 3. ამიაკის ალმდგენი თვისება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, სპირტ-ქურა, ამიაკის კონც. წყალხსნარი ( $\text{NH}_4\text{OH}$ ), კალიუმის პერმანგანატი  $\text{KMnO}_4$ .

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით მცირე რაოდენობით კალიუმის პერმანგანატის ხსნარი და დაამატეთ რამდენიმე წვეთი ამიაკის კონც. წყალხსნარი. ნარევი გაახურეთ სპირტქურის ალზე და დააკვირდით პერმანგანატის ფერის ცვლილებას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 4. ამონიუმის იონის ალმოჩენა**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, სპირტ-ქურა, ლამტუსის ქაღალდი, ამონიუმის ქლორიდის ხსნარი ( $\text{NH}_4\text{Cl}$ ), ნატრიუმის ტუტის კონც. წყალხსნარი ( $\text{NaOH}$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით ამონიუმის ქლორიდის ხსნარი და დაამატეთ ნატრიუმის ტუტის კონც. წყალხსნარი. ნარევი გაახურეთ სპირტქურის ალზე ადუღებამდე. ამონიუმის ქლორიდზე ტუტის დამატებით, გამოიყოფა ამონიუმის ტუტები, რომელიც არამდგრადია და გაცხელებისას იშლება ამიაკად და წყლად. ამიაკის გა-

მოყოფა შეიმჩნევა მკვეთრი დამახასიათებელი სუნით.  
სინჯარასთან მიიტანეთ სგელი ლაქმუსის ქაღალდი.

რას ამჩნევთ? დაწერეთ შესაბამისი რეაქციის  
ტოლობა.

#### ცდა 5. თუთიაზე კონც. აზოტმჟავას მოქმედება

მოწყობილობა და რეაქტივები: სინჯარა, თუთიის  
ნაჟერი ( $Zn$ ), კონც. აზოტმჟავა ( $HNO_3$ ).

ცდის მსგლელობა: სინჯარში მოათავსეთ თუთიის  
პატარა ნაჟერი. დაამატეთ კონც. აზოტმჟავას რამდენიმე  
წვეთი. შეფერილობის მიხედვით განსაზღვრეთ გამოყოფი-  
ლი აირი.

დაწერეთ თუთიის კონც. აზოტმჟავასთან ურთიერ-  
ოქმედების რეაქციის ტოლობა.

#### ცდა 6. თუთიაზე ძლიერ განზ. აზოტმჟავას მოქმედება

მოწყობილობა და რეაქტივები: სინჯარა, თუთიის  
ნაჟერი, განზ. აზოტმჟავა ( $HNO_3$ ), ნატრიუმის ჰიდროქსიდი  
( $NaOH$ ).

ცდის მსგლელობა: სინჯარში მოათავსეთ თუთიის  
პატარა ნაჟერი. დაამატეთ ძლიერ განზ. აზოტმჟავას რამ-  
დენიმე წვეთი. ხსნარი შეანჯღრიეთ რამდენიმე წუთის

განმავლობაში და დაუმატეთ ნატრიუმის ჰიდროქსიდის სინარი. აღნიშნეთ წარმოქმნილი დამახასათებელი სუნი (რომელი აირია?).

შეადგინეთ თუთიის ძლიერ განზ. აზოტმჟავასთან ურთიერთქმედების რეაქციის ტოლობა. გაითვალისწინეთ, რომ რეაქციის პროდუქტებია ამონიუმისა და თუთიის ნიტრატი.

#### ცდა 7. აზოტოვანი მჟავას მიღება და დაშლა

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა,  $2N H_2SO_4$ -ის სინარი,  $NaNO_2$ -ის ან  $KNO_2$ -ის ნაჯერი სინარები.

**ცდის მსვლელობა:** ნატრიუმის ან კალიუმის ნიტრიტის ნაჯერი სინარის 4-5 წვეთს დაუმატეთ 1-2 წვეთი  $2N$  გოგირდმჟავას სინარი. აღნიშნეთ ცისფერი შეფერილობის აზოტოვანი ანჰიდრიდის მიღება. ასევნით მურა ფერის გაზის გამოყოფის მიზეზი.

**დაწერეთ რეაქციათა ტოლობები:**

კალიუმის ან ნატრიუმის ნიტრიტის გოგირდმჟავასთან ურთიერთქმედება;

აზოტოვანი მჟავას დაშლა;

აზოტოვანი ანჰიდრიდის დაშლა.

## ცდა 8. ნიტრიტი, როგორც მჟანგავი

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კალიუმის იოდიდის ხსნარი (KI), ნატრიუმის ნიტრიტი (NaNO2), გოგირდმჟავა (H2SO4), სახამებელი.

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით კალიუმის იოდიდის ხსნარი, დაამატეთ გოგირდმჟავას და ნატრიუმის ნიტრიტის რამდენიმე წვეთი. დააკვირდით თავისუფალი იოდის გამოყოფას, რომელიც შეიმჩნევა სახამებლის დამატებისას ლურჯი შეფერილობის წარმოქმნით.

შეადგინეთ რეაქციის ტოლობა, გაითვალისწინეთ, რომ ნატრიუმის ნიტრიტი აღდგება აზოტის (II) ოქსიდამდე.

## ცდა 9. ნიტრიტი, როგორც აღმდგენი

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კალიუმის პერმანგანატის ხსნარი (KMnO4), კალიუმის ნიტრიტი (KNO2), გოგირდმჟავა (H2SO4).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით მცირე რაოდენობით კალიუმის პერმანგანატის ხსნარი, დაამატეთ რამდენიმე წვეთი გოგირდმჟავა და კალიუმის ნიტრიტის ხსნარი. აღნიშნეთ ფერის ცვლილება.



შეადგინეთ რეაქციის ტოლობა, გაითვალისწინეთ, კალიუმის პერმანგანატი გადადის მანგანუმის (II) სულფატში, ხოლო ნატრიუმის ნიტრიტი – ნატრიუმის ნიტრატში.

## ლაპორატორიული სამუშაო № 7

### ფოსფორი

ფოსფორი (P) პერიოდული სისტემის მესამე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 15, ატომური მასაა 30,974 (31).

მისი ელექტრონული ფორმულაა  ${}_{15}P\ 1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^3$ .



ფოსფორი ბუნებაში მეტად გავრცელებული ელემენტია. ბუნებაში ფოსფორი გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით. აღსანიშნავია ფოსფორიტები და აპატიტები, რომელთა მთავარი შემადგენელი ნაწილია  $Ca_3(PO_4)_2$ . მსოფლიოში უდიდესი საბადოები არის კოლის ნახევარ-კუნძულზე.

ნაერთებში ფოსფორი ამჟღავნებს ისეთივე ჟანგვის ხარისხს, როგორც აზოტი (-3-დან +5-მდე), მაგრამ უარყოფითი ხარისხი ნაკლებად დამახასიათებელია.

ფოსფორის რამდენიმე იზოტოპებიდან სტაბილურია ერთი იზოტოპი  $^{31}\text{P}$ .

ცნობილია ფოსფორის რამდენიმე ალოტროპიული სახესხვაობა, რომელთაგან მნიშვნელოვანია თეთრი, წითელი და შავი ფოსფორი. მათ ინდივიდუალურობას განაპირობებს ქრისტალური გისოსის განსხვავებული აღნაგობა.

თეთრი ფოსფორი წარმოადგენს ცვილისფერ ნივთიერებას, წყალში ძალიან ცუდად იხსნება, კარგად იხსნება გოგირდნახშირბადში ( $\text{CS}_2$ ), ადვილად იწვის, ოთახის ტემპერატურაზე ხდება მისი თვითაალება და წარმოიქმნება თეთრი ბოლი  $\text{P}_2\text{O}_5$ -ის წარმოქმნის გამო. სიბნელეში ანათებს, ძლიერი საწამლავია. სინათლეზე ან უპაროდ სუსტი გახურებით, თანდათან გარდაიქმნება ფოსფორის წითელ მოდიფიკაციად.

წითელი ფოსფორი მურა წითელი ფერის ფხვნილია. არც წყალში იხსნება და არც გოგირდნახშირბადში. მისი რეაქციისუნარიანობა მკვეთრად უფრო ნაკლებია, ვიდრე თეთრი ფოსფორის, მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე იწვის, სიბნელეში არ ანათებს, არ არის საწამლავი. უპაროდ ძლიერი გახურებისას წითელი ფოსფორი ორთქლდება. მისი კონდენსაციის დროს წითელი ფოსფორის ნაცვლად თეთრი ფოსფორი მიიღება.

შავი ფოსფორი მიიღება თეთრი ფოსფორის გაცხელებით  $200\text{--}250^{\circ}\text{C}$  მაღალი წნევის პირობებში. შავი ფოსფორი – ნახევარგამტარია.

ფოსფორი კალიუმთან და აზოტთან ერთად ის ელემენტია, რომლის გარეშე სიცოცხლე არ შეიძლება. ფოსფორი განსაკუთრებით ესაჭიროება მცენარეებს ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. მოსავლის აღებასთან დაკავშირებით ნიადაგში ფოსფორის შემცველობა კლებულობს და მოსავლიანობა მცირდება, ამიტომ საჭირო ხდება ნიადაგში ფოსფორშემცველი სასუქების შეტანა, რომელთაგანაც აღსანიშნავია:

**ფოსფორიტული ფქვილი** –  $\text{CaF}(\text{PO}_4)_3 + \text{CaOH}(\text{PO}_4)_3 + \text{CaCO}_3$ . იგი წარმოადგენს წვრილად დაფქვილ ფოსფორიტებს და აპატიტებს, წყალში უხსნადია, გამოიყენება მხოლოდ მჟავა ნიადაგებში. მისი უპირატესობაა დაბალი ფასი და ეკოლოგიური უვნებლობა.

**მარტივი სუპერფოსფატი**  $\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2 \cdot \text{H}_2\text{O} + 2\text{CaSO}_4$  – შეიცავს 50% კალციუმის სულფატს, რომელიც გამოუსადეგარია, მაგრამ ერთ-ერთი გავრცელებული სასუქია, რადგანაც აღილად შესათვისებელია ნებისმიერი მცენარისათვის და იაფია.

**ორმაგი სუპერფოსფატი**  $\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2 \cdot \text{H}_2\text{O}$  – შედგენილობით მარტივი სუპერფოსფატის მსგავსია, მაგრამ მასში საკვები ელემენტი მეტი რაოდენობითაა, არ შეიცავს ბალასტს. **პრეციპიტატი**  $\text{CaHPO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$  – ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ფოსფორშემცველი სასუქია, გამოიყენება ნებისმიერ ნიადაგში ნებისმიერი კულტურისათვის. კომპინირებულ სასუქებიდან აღსანიშნავია ამოფოსი  $\text{NH}_4\text{H}_2\text{PO}_4$  და დიამოფოსი  $(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4$ .

საერთოდ, ფოსფორშემცველი სასუქების ღირებულება განისაზღვრება არა ფოსფორის მიხდვით, არამედ  $\text{P}_2\text{O}_5$ -ის პროცენტული შემცველობის მიხედვით.

#### ცდა 1. წითელი ფოსფორის გარდაქმნა თეთრ ფოსფორად

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, შტატივი, სპირტქურა, წითელი ფოსფორი.

**ცდის მსგლელობა:** მშრალ სინჯარაში მოათავსეთ წითელი ფოსფორის რამდენიმე მარცვალი და სინჯარას ჭიდროდ დაუცეთ ბამბა. სინჯარა დაამაგრეთ შტატივზე ოდნავ დახრილ მდგომარეობაში და ფრთხილად გაახურეთ სპირტქურის ალზე, ისე, რომ ფოსფორი თანდათანობით გადავიდეს ორთქლის მდგომარეობაში. დააკვირდით სინჯარის ცივ კედელზე გამოყოფილ ნივთიერებას.

დაწერეთ ფოსფორის წვის რეაქციები  $\text{P}_2\text{O}_5$ -ის და  $\text{P}_2\text{O}_5$ -ის წარმოქმნით.

## ცდა 2. კალციუმის ფოსფატის მიღება

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, კალციუმის ქლორიდი ( $\text{CaCl}_2$ ), ნატრიუმის დიპიდროფოსფატის  $\text{NaH}_2\text{PO}_4$ , ნატრიუმის ჰიდროფოსფატისა ( $\text{Na}_2\text{HPO}_4$ ) და ნატრიუმის ფოსფატის ( $\text{Na}_3\text{PO}_4$ ) ხსნარები.

**ცდის მსვლელობა:** სამ სინჯარაში ჩაასხით 1-2 მლ კალციუმის ქლორიდი ხსნარი და დაამატეთ 0,5 მლ ნატრიუმის დიპიდროფოსფატის, ნატრიუმის ჰიდროფოსფატის და ნატრიუმის ფოსფატის ხსნარები. აღნიშნეთ ნალექების წარმოქმნის ინტენსივობა და მათი უერთიანობა გაყავით ორ ნაწილად და დააკვირდით მათ ურთიერთქმედებას მარილმჟავასთან და ძმარმჟავასთან.

შეადგინეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## ცდა 3. კალციუმის ფოსფატის მიღება

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, განზ. ფოსფორმჟავა ( $\text{H}_3\text{PO}_4$ ), კალციუმის ტუტის ( $\text{Ca}(\text{OH})_2$  გამჭვირვალე) ხსნარი.

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით 1-2 მლ განზ. ფოსფორმჟავა და თანდათანობით დაუმატეთ კალციუმის ტუტის გამჭვირვალე ხსნარი, ვიდრე არ შეწყდება

ნალექის წარმოქმნა, წარმოიქმნება თეთრი ფერის ნალექი.

დაწერეთ რეაქციის ტოლობა.

#### ცდა 4. $PO_4^{3-}$ იონის აღმოჩენა

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, ნატრიუმის დიპიდროფოსფატი ( $NaH_2PO_4$ ), ვერცხლის ნიტრატი ( $AgNO_3$ ), აზოტმჟავა ( $HNO_3$ ).

**ცდის მსგლელობა:** სინჯარაში ჩაასხით 0,5 – 1 მლ ნატრიუმის დიპიდროფოსფატი და დაამატეთ რამდენიმე წვეთი ვერცხლის ნიტრატი. აღნიშნეთ წარმოქნილი ნალექის ფერი. შეამოწმეთ ნალექის ხსნადობა აზოტმჟავაში.


დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## ლაბორატორიული სამუშაო № 8

### VI ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფი

VI ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებია (S, O, Se, Te, Po) მათ ხალკოგენები ეწოდება. მათ ურთიერთ-მსგავსებას განაპირობებს სავალენტო შრის ერთნაირი კონფიგურაცია  $ns^2np^4$ , მიეკუთვნებიან p ელემენტებს. წარმოქმნიან ერთნაირი  $H_2R$  ტიპის წყალბადნაერთებს და  $RO_3$  ტიპის უმაღლეს ჟანგბადნაერთებს. ძირითადად კოვალენტურ ნაერთებს წარმოქმნიან, რომლებშიც მათი ჟანგვის ხარისხი ცვალებადია.

**ჟანგბადი** (O) პერიოდული სისტემის მეორე პერიოდის ელემენტია. რიგობრივი ნომერია 8, ატომური მასაა 15,9994 (16). მისი ელექტრონული ფორმულაა  $_8O\ 1s^22s^22p^4$ .




ჟანგბადის ატომის ვალენტობა ყოველთვის 2-ის ტოლია, რითაც განსხვავდება სხვა ხალკოგენებისაგან, ჟანგვის ხარისხი კი ყოველთვის -2-ის ტოლია, გამონაკლისია ზეჟანგები და დიფტორიდი  $H_2O_2^-; O^{+2}F_2$ . ჟანგბადი (3,44) ფტორის (3,98) შემდეგ ყველაზე ელექტროუარყოფითი ელემენტია. იგი ბუნებაში ყველაზე


გავრცელებული ელემენტია. თავისუფალი სახით შედის ჰაერის შემადგენლობაში (დაახლ. 21%).

ბუნებრივი ჟანგბადი სამი მდგრადი ოზოტოპის ნარეგს წარმოადგენს  $^{16}_8\text{O}$ ;  $^{17}_8\text{O}$ ;  $^{18}_8\text{O}$ . უფერო, უსუნო და უგემო გაზია, წყალში მცირედ იხსნება. ჟანგბადი აუცილებელია ისეთი სასიცოცხლო პროცესისათვის, როგორიცაა სუნთქვა. მისი ალოტროპიული სახესხვაობაა ოზონი, რომლის მოლეკულაში 3 ატომი ჟანგბადია.

**გოგირდი (S)** პერიოდული სისტემის მესამე პერიოდის ელემენტია. რიგობრივი ნომერია 16, ატომური მასაა 32,064 (32). მისი ელექტრონული ფორმულაა  $^{16}\text{S} \ 1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^4$ .



ნორმ. მდგ.



აგზ. მდგ.

გოგირდი ბუნებაში გვხვდება როგორც თავისუფალ მდგომარეობაში, ისე თვითნაბადი სახით. იგი გვხვდება შემდეგი ნაერთების სახით ( $\text{PbS}$ ,  $\text{ZnS}$ ,  $\text{Cu}_2\text{S}$ ,  $\text{FeS}_2$ ,  $\text{MnSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$ ,  $\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ ). გოგირდი შედის ზოგიერთი მინერალური წყლის შემაღენლობაში, ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში. ბუნებრივი გოგირდი შედგება 4 სტაბილური იზოტოპისაგან  $^{32}\text{S}$ ;  $^{33}\text{S}$ ;  $^{34}\text{S}$ ;  $^{35}\text{S}$ . ცნობილია გოგირდის რამდენიმე ალოტროპული სახესხვაობა – რომბული, პრიზმული და პლასტიკური. გოგირდი წარმოადგენს მყიფე ყვითელი ფერის კრისტალურ ნივთიერებას, წყალში პრაქტიკულად არ იხსნება. გოგირდის ჟანგვის ხარისხი ცვალებადია -2; +2; +4; +6.

გოგირდი გამოიყენება სოფლის მეურნეობაში მავნებლებთან საბრძოლველად,  $\text{CuSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$  (სპილენის შაბიამანი) სოფლის მეურნეობაში მცენარეების შესაწამლად. გოგირდის გოგირდმჟავა.

## **ცდა 1. ჟანგბადის მიღება ბერთოლეს მარილის დაშლით**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** შტატივი, სპირტკურა, ხის კვარი, სინჯარები, ბერთოლეს მარილი ( $KClO_3$ ), მანგანუმის დიოქსიდი ( $MnO_2$ ).

**ცდის მსგლელობა:** აიღეთ ორი სინჯარა. ერთში ჩაყარეთ 0,5 გ ბერთოლეს მარილი, ხოლო მეორეში – წინასწარ გახურებული და შემდგებში გაციებული და ერთმანეთში არეული მანგანუმის დიოქსიდი და ბერთოლეს მარილი (1:2). სინჯარები მიადეთ ერთმანეთს და დაამაგრეთ შტატივზე. გააცხელეთ სპირტკურაზე. მბუ-ტაფი კვარით შეამოწმეთ ჟანგბადის გამოყოფა.

რას ამნევთ? დაწერეთ ბერთოლეს მარილის დაშლის რეაქცია და აღნიშნეთ მანგანუმის დიოქსიდის როლი ამ რეაქციებში.

## **ცდა 2. ჟანგბადის მიღება კალიუმის პერმანგანატის დაშლით**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** შტატივი, კვარი, სინჯარა, სპირტკურა, კალიუმის პერმანგანატის ( $KMnO_4$ ) კრისტალები.

**ცდის მსგლელობა:** სინჯარაში მოათავსეთ კალიუმის პერმანგანატის კრისტალები. სინჯარა დაამაგრეთ

შტატივზე და გააცხელეთ. მბეჭდავი კვარით შეამოწმეთ ჟანგბადის გამოყოფა.

რას ამჩნევთ? დაწერეთ კალიუმის პერმანგანატის დაშლის რეაქცია.

### ცდა 3. გოგირდის მიღება

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, ნატრიუმის სულფიდი ( $\text{Na}_2\text{S}$ ), აზოტმჟავა ( $\text{HNO}_3$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით ნატრიუმის სულფიდის სსნარი და დაამატეთ აზოტმჟავა. სსნარი შეიძლება და ემსგავსება რძეს გამოყოფილი გოგირდის კოლოიდური სსნარის წარმოქმნის გამო.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

### ცდა 4. გოგირდის ჟანგვა-ალდგენითი თვისებები

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, მინის წკირი, ფენილისებრი გოგირდი, აზოტმჟავა ( $\text{HNO}_3$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით მცირე რაოდენობით აზოტმჟავა და დაამატეთ ფენილისებრი გოგირდი. გამოიყოფა მურა გაზი, ხოლო გოგირდი გაიხსნება. შემდეგ მიღებულ სსნარს დაამატეთ ბარიუმის ქლორიდი. გამოიყოფა თეთრი ფერის ნალექი.

უფერო აღში მინის წკირით შეიტანეთ მცირე  
რაოდნობით გოგირდი. გოგირდი იწვის ლურჯი აღით.  
დაწერეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.

#### ცდა 5. კონცენტრირებული გოგირდმჟავას ჟანგვითი თვისებები

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სპირტქურა, გამოხ-  
დილი წყალი, გოგირდის ნატეხები, კონც. გოგირდმჟავა  
( $H_2SO_4$ ).

**ცდის მსვლელობა:** მშრალ სინჯარაში მოათავსეთ  
გოგირდის პატარა ნატეხი და დაამატეთ კონც. გოგირდ-  
მჟავა. სინჯარა ფრთხილად გაახურეთ. სინჯარის პირთან  
მიიტანეთ წყალში დასველებული ლურჯი ლაპტუსის  
ქაღალდი.

დააკვირდით ცდის მიმდინარეობას. დაწერეთ შესა-  
ბამისი რეაქციის ტოლობა.

#### ცდა 6. გოგირდმჟავას წყალწამრთმევი თვისებები

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სპირტქურა, ფილ-  
ტრის ქაღალდი, მინის წკირი, 2N (განზ. 1:3) გოგირდ-  
მჟავას სსნარი ( $H_2SO_4$ ).

**ცდის მსვლელობა:** ფილტრის ქაღალდზე გოგირდმჟაგაში დასველებული მინის წკირით გააკეთეთ რაიმე წარწერა. ქაღალდი ფრთხილად გააშრეთ სპირტქურის ალზე. წყლის აორთქლების გამო მჟავას კონცენტრაცია იზრდება და ქაღალდი შავდება იმ ადგილზე, სადაც დასველებული იყო გოგირდმჟავას ხსნარით და წარწერა მკაფიოდ გამოჩდება ქაღალდის თეთრ ფონზე.

#### **ცდა 7. განზავებული გოგირდმჟავას ურთიერთქმედება მეტალებთან**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სპირტქურა, სინჯარები, Zn-ის, Fe-ის და Cu-ს პატარა ნაჭრები, განზ. გოგირდმჟავას ხსნარი ( $H_2SO_4$ ).

**ცდის მსვლელობა:** სამ სინჯარაში ჩაასხიო განზ. გოგირდმჟავა და თითოეულში მოათავსეთ სხვადასხვა მეტალის 2-3 პატარა ნაჭერი. თუ რეაქცია ნელა მიდის სინჯარები მსუბუქად გააცხელეთ სპირტქურის ალზე.

რომელ შემთხვევაში არ წავა რეაქცია? დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები. რომელი ელემენტებია მჟანგავი ამ რეაქციებში?

## ცდა 8. $\text{SO}_4^{2-}$ -ის აღმოჩენა



**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, ბარიუმის ქლორიდის ( $\text{BaCl}_2$ ) კონც. ხსნარი, კონც. მარილმჟავას ( $\text{HCl}$ ) და აზოგმჟავას ( $\text{HNO}_3$ ) ხსნარები, განზ. გოგირდმჟავა ( $\text{H}_2\text{SO}_4$ ).


**ცდის მსგლელობა:** სინჯარაში ჩაასხით განზ. გოგირდმჟავა და დაამატეთ ბარიუმის ქლორიდის ხსნარი. წარმოიქმნება თეთრი ფერის  $\text{BaSO}_4$ -ის ნალექი. მიღებული ნალექი გაანაწილეთ ორ სინჯარაში. ერთ სინჯარას დაუმატეთ კონც. მარილმჟავა, ხოლო მეორეს კონც. აზოგმჟავას ხსნარი. ნალექი არც ერთ შემთხვევაში არ გაიხსნება.

## ლაგორატორიული სამუშაო № 9

### ჰალოგენები

ჰალოგენები ეწოდება VII ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებს F, Br, Cl, I, At, მათი სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან, რაც „მარილწარმოქმნელს“ ნიშნავს (Hals – მარილი). მიეკუთვნებიან p-ელემენტებს. მათ ანალოგიას განაპირობებს მსგავსი ელექტრონული კონფიგურაცია –  $ns^2np^5$ . მათი მაქსიმალური უნაგვის ხარისხია +7, ხოლო მინიმალური -1. გამონაკლისია ფტორი, რომლის უნაგვის ხარისხი, როგორც ყველაზე ელექტროუარყოფითი ელემენტის, ყოველთვის მინუს ერთის ტოლია. ჰალოგენები წარმოქმნიან  $RH_8$  ტიპის უნაგბადნაერთებს, და  $R_2O_7$  ტიპის უმაღლეს ოქსიდებს.





### აგზნ. მდგომარეობა


ჰალოგენები გვხვდება როგორც დედამიწის ქერქში, აგრეთვე ოკეანების, ზღვებისა და მარილიანი ტბების წყლებში მათი მარილებისა (ჰალოგენიდების) და სხვა სახით: NaCl, KCl, NaBr, KBr, NaI, KI, CaF<sub>2</sub>.

ამ ნაერთებიდან ჰალოგენებს იღებენ ტექნიკური და ლაბორატორიული მიზნებისათვის, ქიმიური და ელექტროქიმიური მეთოდებით.

ჰალოგენები დამჟანგველებია, მაგრამ მათი დამჟანგვი თვისებები რიგში ფტორი-ქლორი-ბრომი-იოდი მცირდება, ხოლო აღდგენითი – იზრდება. ყველაზე ძლიერი აღმდგენელია იოდწყალბადი. დიდი ტექნიკური მნიშვნელობა აქვს ჰალოგენწყალბადებს (HF, HCl, HBr, HI). განსა-

კუთრებით მნიშვნელოვანია ქლორწყალბადი და მისი წყალსნარი – მარილმჟავა. პალოგენწყალბადებში პალოგენების უანგვის ხარისხი უარყოფითია (-1), ამიტომ ისინი ძლიერი დამჯანგავებია.

პალოგენების დადებითი უანგვის ხარისხის მქონე მრავალრიცხოვანი ნაერთებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია კალიუმის ქლორატს  $\text{KClO}_3$  (ბერთოლეს მარილი), რომელიც ძლიერი დამჯანგავია, მისი მუანგველობითი უნარი ვლინდება გახსნილ, გამლდვალ და მყარ მდგომარეობაშიც. კალიუმის ქლორატი ხსნარებში აღდგება კალიუმის ქლორიდამდე, ან თავისუფალ ქლორამდე. კალიუმის ქლორატი მყარ მდგომარეობაში შედის ასანთის, სანთებელა ნარევების, ფოიერვერკების შემადგენლობაში, ამ შემთხვევაში მისი დამჯანგავი თვისება აისხება იმით, რომ გახურებისას იშლება ატომური უანგბადის გამოიყოფით.



პალოგენები ხასიათდება მკვეთრი სუნით და მათი მცირე ჩასუნთქვაც კი იწვევს სასუნთქი გზების გადოზიანებას.

პალოგენები თავისუფალ მდგომარეობაში არსებობენ მოლეკულების სახით  $\text{F}_2, \text{Br}_2, \text{Cl}_2, \text{I}_2$ .

**ფოორი (F)** პერიოდული სისტემის მეორე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 9, ატომური მასაა 18,9984. მისი ელექტრონული ფორმულაა  ${}_9\text{F} \ 1s^22s^22p^5$ .

ფოორი წარმოადგენს დია-მოყვითალო ფერის მკვეთრი სუნის მქონე გაზს, ძალიან აგრესიული და მომწამვლელია. ბუნებაში არსებობს ერთი სტაბილური იზოტოპის  ${}^{19}\text{F}$  სახით.

**ქლორი (Cl)** პერიოდული სისტემის მესამე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 17, ატომური მასაა 35,5. მისი ელექტრონული ფორმულაა  ${}_{17}\text{Cl} \ 1s^22s^22p^63s^23p^5$ . ქლორი ბუნებაში გვხვდება ორი სტაბილური იზოტოპის სახით  ${}^{35}\text{Cl}$  (75,78 %) და  ${}^{37}\text{Cl}$  (24,22 %).

ქლორი წარმოადგენს მომწვანო-მოყვითალო ფერის მკვეთრი სუნის მქონე ჰაერზე უფრო მძიმე გაზს, საწამლავია.

ქლორის ნაერთებიდან უმნიშვნელოვანეს ნაერთს წარმოადგენს  $\text{NaCl}$  (სუფრის მარილი, გამოიყენება კვების მრეწველობაში) და  $\text{KCl}$  რომელიც გამოიყენება სასუქად.

**ბრომი (Br)** პერიოდული სისტემის მეოთხე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 35, ატომური მასაა 79,904. მისი ელექტრონული ფორმულაა  ${}_{35}\text{Br} \ 1s^22s^22p^63s^23p^63d^{10}4s^24p^5$ .

ბრომი ჩვეულებრივ პირობებში მურა-მოწითალო ფერის სითხეა, მკვეთრი არასასიამოვნო სუნით, კანზე შეხებისას იწვევს დამწვრობას. ბრომი ბუნებაში გვხვდება

ორი სტაბილური იზოტოპის სახით  $^{79}\text{Br}$  (50,56 %) და  $^{81}\text{Br}$  (49,44 %).

იოდი (I) პერიოდული სისტემის მეხუთე პერიოდის ელექტრონებია, რიგობრივი ნომერია 55, ატომური მასაა 126,9044. მისი ელექტრონული ფორმულაა  $_{53}\text{I}1s^22s^22p^63s^23p^63d^{10}4s^24p^64d^{10}5s^25p^5$ .

იოდი მოშავო-მონაცრისფრო კრისტალებია იისფერი მეტალური ბზინგარებით, მკვეთრი სუნით.

ბუნებრივი იოდი შედგება მხოლოდ ერთი სტაბილური იზოტოპისაგან  $^{127}\text{I}$ .

**პალოგენებზე ცდები ტარდება ამწოვ კარადაში!**

## **ცდა 1. ქლორის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, მანგანუმის დიოქსიდი –  $MnO_2$ , კალიუმის ბიქრომატი –  $K_2Cr_2O_7$ , კალიუმის პერმანგანატი –  $KMnO_4$ , მარილმჟავა –  $HCl$ .

**ცდის მსვლელობა:** მშრალ სინჯარებში მოათავსეთ მანგანუმის დიოქსიდი –  $MnO_2$ , კალიუმის ბიქრომატი –  $K_2Cr_2O_7$  და კალიუმის პერმანგანატი –  $KMnO_4$ . ოთოვულ სინჯარას დაამატეთ 4-5 წვეთი მარილმჟავა.

აღნიშნეთ გამოყოფილი ქლორის ფერი, სუნი. დაწერეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები და გაათანაბრეთ ჟანგვა-აღდღენით.

## **ცდა 2. იოდის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ფაიფურის ტიგელი, სპირტქურა, კალიუმის (ან ნატრიუმის) იოდიდი ( $KI$ ,  $NaI$ ), მანგანუმის დიოქსიდი ( $MnO_2$ ), კონც. გოგირდმჟავა ( $H_2SO_4$ ).

**ცდის მსვლელობა:** ფაიფურის ტიგელში მოათავსეთ კალიუმის (ან ნატრიუმის) იოდიდი და მანგანუმის დიოქსიდი. მოურიეთ მინის წკირით. შემდეგ ტიგელი ნარევით მოათავსეთ ფაიფურის სამკუთხედზე დაამატეთ

რამდენიმე წვეთი კონც. გოგირდმჟავა. ტიგელი შეათბეთ, დააკვირდით იოდის წარმოქმნას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები, გაათანაბრეთ ჟანგვა-აღდგენით.

### ცდა 3. ქლორწყალბადის მიღება

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, ინდიკატორის ქაღალდი, ნატრიუმის ქლორიდი ( $\text{NaCl}$ ), კონც. გოგირდმჟავა ( $\text{H}_2\text{SO}_4$ ).

**ცდის მსგლელობა:** მშრალ სინჯარაში მოათავსეთ ერთი მიკროშპატელი კრისტალური ნატრიუმის ქლორიდი და დაამატეთ 4-5 წვეთი კონც. გოგირდმჟავა. ნატრიუმის ქლორიდის აფუება და გაზის გამოყოფა ადასტურებს რეაქციის მიმდინარეობას. სინჯარასთან მიიტანეთ წყალში დასველებული ლურჯი ლაქმუსის ქაღალდი (შეიძლება უნიგერსალური ინდიკატორის ქაღალდი) და დააკვირდით მისი შეფერილობის შეცვლას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა, ახსენით ინდიკატორის შეფერილობის ცვლილება. ახსენით რატომ გამოიყენება მყარი ნატრიუმის ქლორიდი და კონც. გოგირდმჟავა, და არა მარილის ხსნარი და განზ. გოგირდმჟავა.

## **ცდა 4. ბრომწყალბადისა და იოდწყალბადის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სპირტქურა, ინდიკატორის ქაღალდი, ნატრიუმის (ან კალიუმის) ბრომიდი და იოდიდი ( $\text{NaBr}$ ,  $\text{NaI}$ ,  $\text{KBr}$ ,  $\text{KI}$ ), კონც. ორთოფოსფორმჟავა ( $\text{H}_3\text{PO}_4$ ).

**ცდის მსგლელობა:** ორ მშრალ სინჯარაში მოათავსეთ ერთი მიკროშპატელი კრისტალური ნატრიუმის (ან კალიუმის) ბრომიდი და იოდიდი. დაამატეთ 4-5 წვეთი კონც. ორთოფოსფორმჟავა. სინჯარები შეათბეთ სპირტქურაზე. მარილების აფუება და გაზის გამოყოფა ადასტურებს რეაქციის მიმდინარეობას. სინჯარასთან მიიტანეთ წყალში დასველებული ინდიკატორის ქაღალდი და დააკვირდით ინდიკატორის შეფერილობის ცვლილებას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა, ახსენით ინდიკატორის შეფერილობის ცვლილება. ახსენით რატომ გამოიყენება არა გოგირდმჟავა (როგორც ქლორწყალბადის მიღებისას), არამედ ორთოფოსფორმჟავა.

## **ცდა 5. საღებავების გაუფერულება ქლორიანი წყლით**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, ინდიგოს ხენარი, ფუქსინის ხენარი, ლაპტუსის ხენარი, ქლორიანი წყალი, გამოხდილი წყალი.

**ცდის მსგლელობა:** ოთხ სინჯარაში ჩაასხით გამოხდილი წყალი. პირველი სინჯარა შედებეთ ინდიგოს, მეორე – ფუქსინის, მესამე – ლაკმუსის, ხოლო მეოთხე – იისფერი მელნის ხსნარით. ყველა სინჯარაში ჩაასხით ახლად მომზადებული ქლორიანი წყალი და სინჯარები შეანჯდრიეთ. რას ამჩნევთ?

#### **ცდა 6. შედებილი ქსოვილის გაუფერულება ქლორით**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ცილინდრი, მინის ფირფიტა, საღებავით შეფერილი ქსოვილი, ქლორი, გამოხდილი წყალი.

**ცდის მსგლელობა:** აიღეთ საღებავით შეფერილი ქსოვილის ნაჭერი. ქსოვილი ნახევრად დაასველეთ გამოხდილი წყლით, ჩაკიდეთ ქლორიან ცილინდრში და დაახურეთ მინის ფირფიტა.

რას ამჩნევთ? ახსენით მიზეზები.

#### **ცდა 7. ქლორ-, ბრომ- და იოდ-იონების აღმოჩენა**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, ნატ-რიუმის ქლორიდის ( $\text{NaCl}$ ), კალიუმის ბრომიდის ( $\text{KBr}$ ) და კალიუმის იოდიდის ( $\text{KI}$ ), ვერცხლის ნიტრატის ( $\text{AgNO}_3$ )

ხსნარები, გოგირდმჟავა ( $H_2SO_4$ ), ამონიუმის ტუტე ( $NH_4OH$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარებში ჩაასხით ნატრიუმის ქლორიდის ( $NaCl$ ), კალიუმის ბრომიდისა ( $KBr$ ) და კალიუმის იოდიდის ( $KI$ ) ხსნარები. სამივე სინჯარას დაუმატეთ ვერცხლის ნიტრატის ხსნარი ( $AgNO_3$ ).

აღნიშნეთ წარმოქმნილი ნალექების შეფერილობა. შეამოწმეთ მიღებული ჰალოგენიდების ხსნადობა მჟავაში და ამონიუმის ტუტეში.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

#### ცდა 8. კალიუმის ქლორატის თვისებები

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, შტატივი, ბერთოლეს მარილი ( $KClO_3$ ), კონც. გოგირდმჟავა ( $H_2SO_4$ ).

**ცდის მსვლელობა:** მშრალ სინჯარაში მოათავსეთ ბერთოლეს მარილის ( $KClO_3$ ) რამდენიმე კრისტალი, სინჯარა დაამაგრეთ შტატივზე, პიპეტით დაამატეთ კონც. გოგირდმჟავა. რას ამჩნევთ?

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## **ცდა 9. კალიუმის ქლორატის ურთიერთქმედება კალიუმის იოდიდთან**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კალიუმის იოდიდის (KI) ხსნარი, კალიუმის ქლორატი (KClO<sub>3</sub>), განზ. გოგირდმჟავა (H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>).

**ცდის მსგლელობა:** სინჯარაში ჩაასხით 4-5 წვეთი კალიუმის იოდიდის ხსნარი, დაამატეთ 2-3 წვეთი კალიუმის ქლორატის ხსნარი (ან მარილის კრისტალები), დაამატეთ 3-4 წვეთი განზ. გოგირდმჟავა. შეიმჩნევა ყავისფერი შეფერილობის წარმოქმნა.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## **ცდა 10. კალიუმის ქლორატის ურთიერთქმედება მჟავასთან**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კალიუმის იოდიდის (KI) ხსნარი, კალიუმის ქლორატი (KClO<sub>3</sub>), კონც. მარილმჟავა (HCl).

**ცდის მსგლელობა:** სინჯარაში მოათავსეთ კალიუმის ქლორატის კრისტალები, დაამატეთ 2-3 წვეთი კონც. მარილმჟავა. დააკვირდით გაზის გამოყოფას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## ლაბორატორიული სამუშაო №10

### I ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის d ელემენტები

პერიოდული სისტემის I ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტებს მიეკუთვნება Cu, Ag, Au. ისინი მიეკუთვნებიან d ელემენტებს, რადგან სავალენტო შრის ბოლო ელექტრონი d ქვედონეზეა. ბუნებაში გვხვდებიან თვითნაბადი სახით.

ამ ჯგუფის ელემენტების საერთო თვისებად ითვლება მათი დაუანგულობის ხარისხი +1. გარდა ამისა, სპილენბისა და ვერცხლის დაუანგულობის ხარისხი +2-ია, ხოლო ოქროსი +3. ქიმიური აქტივობა მცირდება რიგში Cu – Ag – Au. ეს მეტალები არ ურთიერთქმედებენ მარილმჟავასთან და განხ. გოგირდმჟავასთან. სპილენბი და ვერცხლი ურთიერთქმედებს კონც. აზოტმჟავასთან, ხოლო ოქრო – მეფის არაყთან ანუ თეზაფთან (კონც. აზოტმჟავას და კონც. მარილმჟავას ნარევი თანაფარდობით 1:3).

სპილენბი (Cu)პერიოდული სისტემის მეოთხე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 29, ატომური მასა 63,546. მისი ელექტრონული ფორმულაა  $^{29}\text{Cu}$   $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^1$ .

სპილენბი პლასტიკური ოქროსფერ-მოვარდისფრო მეტალია, ჰაერზე სწრაფად იფარება ოქსიდის ფენით.

ბუნებრივი სპილენძი შედგება ორი სტაბილური იზოტოპისაგან  $^{63}\text{Cu}$  (69,1%) და  $^{65}\text{Cu}$  (30,9%).

**ვერცხლი** (Ag) პერიოდული სისტემის მეხუთე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 47, ატომური მასა  $107,868$ . მისი ელექტრონული ფორმალაა  $_{47}\text{Ag} \ 1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^{10} 5s^1$ .

ვერცხლი ჭედადი, პლასტიკური, კეთილშობილი, მოვერცხლისფრო-თეთრი მეტალია.

**ოქრო** (Au) პერიოდული სისტემის მეექვსე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 79, ატომური მასა  $196,967$ . მისი ელექტრონული ფორმალაა  $_{79}\text{Au} \ 1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2 4p^6 4d^{10} 4f^{14} 5s^2 5p^6 5d^{10} 6s^1$ .

ოქრო ყვითელი ფერის კეთილშობილი მეტალია.

## ცდა 1. სპილენბის მიღება

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, სპილენბის სულფატის ( $\text{CuSO}_4$ ) ხსნარი, თუთიის გრანულები ( $\text{Zn}$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩასხით სპილენბის სულფატის ხსნარი და ჩაუშვით თუთიის გრანულა, აღწერეთ მიმდინარე მოვლენა.

დაწერეთ შესაბამისი ქიმიური რეაქციის ტოლობა.

## ცდა 2. სპილენბის ჰიდროქსიდის მიღება და თვისებები

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ქიმიური ჭიქა, სპირტურა, სინჯარები, სპილენბის სულფატის ( $\text{CuSO}_4$ ) ხსნარი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი ( $\text{NaOH}$ ), მარილმჟავა ( $\text{HCl}$ ).

**ცდის მსვლელობა:** ქიმიურ ჭიქაში შეურიეთ 2-3 მლ სპილენბის სულფატისა და ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარები. მიღებული  $\text{Cu}(\text{OH})_2$ -ის ნალექი დეგანტაციით ჩარეცხეთ ცივი წყლით და გაანაწილეთ სამ სინჯარაში. პირველი სინჯარა ფრთხილად გააცხელეთ, მეორეს დაუმატეთ კონც. მარილმჟავა, ხოლო მესამეს – კონც. ნატრიუმის ჰიდროქსიდი. ახსენით მიმდინარე მოვლენები.

დაწერეთ შესაბამისი ქიმიური რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 3. სპილენბის ფუძე სულფატის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** შტატივი, ძაბრი, ფილტრის ქაღალდი, სპირტჭურა, სპილენბის სულფატის ( $\text{CuSO}_4$ ) და ნატრიუმის ტუტის ( $\text{NaOH}$ ) განზ. ხსნარები.

**ცდის მსვლელობა:** ქიმიურ ჭიქაში ჩაასხით დაახლოებით 15 მლ სპილენბის სულფატის ხსნარი, დაამატეთ მცირე რაოდენობით ნატრიუმის ტუტის განზ. ხსნარი და გააცხელეთ ადულებამდე. თუ ტუტე ჭარბადაა დამატებული, ნალექი გაშავდება, რადგან ტუტის მოქმედებით წარმოიქმნება არა ფუძე მარილი, არამედ  $\text{Cu(OH)}_2$ , რომელიც გაცხელებით იშლება სპილენბის ოქსიდად და წყლად. თუ გაცხელებისას ხსნარი არ გაშავდა და გამოიყო მომწვანო-ნაცრისფერი ნალექი, მაშინ ხსნარი გაფილტრეთ, ფილტრზე დარჩება სპილენბის ფუძე სულფატი.

დაწერეთ შესაბამისი ქიმიური რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 4. ვერცხლის სარჯის რეაქცია**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** ქიმიური ჭიქა, ბრტყელძირა კოლბა, ელექტროქურა, წყლის აბაზანა, ვერცხლის ნიტრატი ( $\text{AgNO}_3$ ), ამიაკის ხსნარი ( $\text{NH}_4\text{OH}$ ), გლუკოზის ხსნარი ( $\text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6$ ).

**ცდის მსვლელობა:** ქიმიურ ჭიქაში ჩაასხით ვერცხლის ნიტრატის წყალსნარი და დაამატეთ რამდენიმე წვეთი ამიაკის ხსნარი. ურიეთ მინის წკირით. წარმოიქმნება შავი ფერის ნალექი AgO. ნალექის გასახსნელად განაგრძეთ ამიაკის ხსნარის დამატება. მიღებული ხსნარი შეურიეთ გლუკოზის ხსნარს. მიღებული ნარევი ჩაასხით ბრტყელძირიან კოლბაში და ჩადგით ელექტროქურაზე მოთავსებულ წყლის აბაზანაში ( $70^{\circ}\text{C}$ ). დააყოვნეთ რამდენიმე წუთი და დააკვირდით რეაქციის მიმდინარეობას.

#### ცდა 5. ვერცხლის ოქსიდის მიღება

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, ვერცხლის ნიტრატი ( $\text{AgNO}_3$ ), ნატრიუმის ტუტე ( $\text{NaOH}$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით ვერცხლის ნიტრატის ხსნარი და დაამატეთ ნატრიუმის ტუტე. მიღება ვერცხლის ოქსიდის შავი ფერის ნალექი.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## ლაბორატორიული სამუშაო №11

### II ჯგუფის d ელემენტები

II ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტებია Zn, Cd, Hg. მიეკუთვნებიან d ელემენტებს.

**თუთია (Zn)** პერიოდული სისტემის მეოთხე ჯგუფის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 30, ატომური მასა 65,37. ნაერთებში ამჟღავნებს მხოლოდ +2 დაჟანგულობის სარისხს.

მოვერცხლისფრო-თეთრი, საგმაოდ პლასტიკური, ამფოტერული ლითონია. ჰაერზე იფარება ოქსიდის  $ZnO$ -ს თხელი ფენით. თვითნაბადი სახით ბუნებაში არ არსებობს, მისი მიღება ხდება პოლიმეტალური მაღნებიდან.

**კადმიუმი (Cd)** პერიოდული სისტემის მეხუთე ჯგუფის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 48, ატომური მასა 112,40.

მოვერცხლისფრო-თეთრი რბილი, ჭედადი ლითონია. კარგად იხსნება განზ. აზოტმჟავაში, ნაერთებში ამჟღავნებს +2 ჟანგვის ხარისხს. მოთავსებულია თუთიასა და ვერცხლისწყალს შორის, ამიტომაც რიგი ქიმიური თვისებებით მსგავსია. ნახშირბადთან არ ურთიერთქმედებს. მიეკუთვნება იშვიათ, გაბნეულ ელემენტებს. მას ბევრი მინერალი შეიცავს, თუთიის მაღნების თანამგზავრი ელემენტია.

**გერცხლისწყალი** (Hg) პერიოდული სისტემის  
მემკვეთი ჯგუფის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 80,  
ატომური მასა 200,59.

მძიმე მოვერცხლისფრო-თეთრი ფერის თხევადი  
ლითონია, რომლის ორთქლი ძლიერი საწამლავია.  
ერთადერთი ლითონია თხევად მდგომარეობაში. ბუნებაში  
არსებობს როგორც თვითნაბადი სახით, ისე ქმნის მთელ  
რიგ მინერალებს. ნაკლებად აქტიური ლითონია. არ  
ისხნება ისეთ მჟავებაში, რომლებსაც არ აქვთ დამჟანგავი  
თვისებები, მაგრამ ისხნება მეფის არაყში. ლითონებთან  
წარმოქმნის შენადნობებს – ამალგამებს.

## **ცდა 1. თუთიის გახსნა მჟავებსა და ტუტებში**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, თუთიის ფხვნილი, 2M გოგირდმჟავას ხსნარი ( $H_2SO_4$ ), ნატრიუმის ტუტე (NaOH).

**ცდის მსგლელობა:** სინჯარაში მოათავსეთ ერთი მიკროშპატელი თუთიის ფხვნილი, დაამატეთ 4-5 წვეთი 2M გოგირდმჟავა და გაახურეთ. რომელი გაზი გამოიყოფა? ასეთივე ცდა ჩაატარეთ კონც. გოგირდმჟავასთან, რომელი გაზი გამოიყოფა? შეამოწმეთ თუთიის ხსნადობა 2M მარილმჟავაში და ნატრიუმის ტუტეში.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.

## **ცდა 2. თუთიისა და კადმიუმის ჰიდროქსიდების მიღება და თვისებები**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, თუთიის და კადმიუმის მარილები, 2M ნატრიუმის ტუტე (NaOH).

**ცდის მსგლელობა:** აიღეთ ორი სინჯარა. ერთში ჩაასხით 3-4 წვეთი თუთიის მარილი, ხოლო მეორეში – კადმიუმის. ორივეს წვეთობით დაამატეთ 2M ნატრიუმის ტუტე. თითოეულ სინჯარაში მიიღებთ თეთრი ფერის ჰიდროქსიდების ნალექს. დააკვირდით გაიხსნება თუ არა ნალექი განზ. მჟავას და ტუტის დამატებისას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები, გაითვალისწინეთ, რომ თუთიის ჰიდროქსიდზე ტუტის დამატებისას წარმოიქმნება თუთიის კომპლექსური მარილი, რომელიც შეიცავს კომპლექსურ იონს  $[Zn(OH)_4]^{2-}$ . ახსენით თუთიისა და კადმიუმის ჰიდროქსიდების თვისებების განსხვავება.

## ლაპორატორიული სამუშაო № 12

### VI ჯგუფის თანაური ქავჯგუფის d ელემენტები

VI ჯგუფის თანაური ქავჯგუფის ელემენტებია Cr, Mo, W. მიეკუთვნებიან d ელემენტებს. სავალენტო ელექტრონები განაწილებულია s და d ქვედონეებზე. ქრომისა და მოლიბდენის ატომები ელექტრონის „ჩავარდნის“ გამო, გარე ენერგეტიკულ დონეზე (s ქვედონე) თითო ელექტრონს შეიცავს, ვოლფრამის განაპირა ელექტრონული დონე კი ორელექტრონიანია. ქრომის ქავჯგუფის ელემენტების ჟანგვის ხარისხი ნაერთებში ცვალებადია +2,+3, +6.

ქრომი (Cr) პერიოდული სისტემის მეოთხე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 24, ატომური მასაა 51,996. კოროზიისადმი მდგრადია, ამიტომ მას იყენებენ სხვა მეტალების დასაფარად (მოქრომვა).

მისი ჟანგვის ხარისხი ყოველთვის დადებითია. ჟანგვის ხარისხის შესაბამისად წარმოქმნის ოქსიდებს:  $\text{CrO}$  – ფუძე,  $\text{Cr}_2\text{O}_3$  – ამფოტერული და  $\text{CrO}_3$  – მჟავური. ჰიდროქსიდებს:  $\text{Cr}(\text{OH})_2$  – ფუძე,  $\text{Cr}(\text{OH})_3$  – ამფოტერული. მჟავებს: ორქრომმჟავა -  $\text{H}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ , ქრომმჟავა -  $\text{H}_2\text{CrO}_4$ .

სამვალენტიანი ქრომის იონები ხსნარში იისფერი ან მწვანეა.

ქრომი ბუნებაში ძირითადად ქრომოვანი რკინაქვის სახით გვხვდება ( $\text{FeO}\cdot\text{Cr}_2\text{O}_3$ ), არის თეთრი ბზინგარე მეტალი, რომელიც გამოირჩევა დიდი სიმაგრითა და სიმყიფით. წვეულებრივ ტემპერატურაზე ქიმიურად პასიურია, ურთიერთქმედებს მხოლოდ ფტორთან, ჰაერზე არ იუანგება, უანგბადში იწვის მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე, გახურებით უერთდება ჰალოგენებს, აზოტს, გოგირდს და ძირითადად წარმოქმნის სამვალენტიან ნაერთებს. ქრომი იხსნება განზ. მარილმჟავასა და გოგირდმჟავაში, წარმოქმნის ორვალენტიან ქრომის მარილებს (რეაქციის შედეგად გამოიყოფა წყალბადი), რომლებიც სწრაფად იუანგება და გადაიქცევა სამვალენტიან მარილებად.

## **ცდა 1. წყალში ჟენენადი ქრომატების მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, კალიუმის ბიქრომატი  $K_2Cr_2O_7$ , ბარიუმის ქლორიდი ( $BaCl_2$ ), ტყვიის ნიტრატი ( $Pb(NO_3)_2$ ), ვერცხლის ნიტრატი ( $AgNO_3$ ).

**ცდის მსგლელობა:** სამ სინჯარაში ჩაასხით კალიუმის ბიქრომატის ხსნარი, პირველ სინჯარას დაუმატეთ ბარიუმის ქლორიდი, მეორეს – ტყვიის ნიტრატი, მესამეს – ვერცხლის ნიტრატის წყალს ხსნარები. დააკვირდით ნალექების წარმოქმნას და აღნიშნეთ ფერი.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## **ცდა 2. ქრომატის ბიქრომატში გადასვლა და პირიქით**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, კალიუმის ქრომატი ( $K_2CrO_4$ ), კალიუმის ბიქრომატი ( $K_2Cr_2O_7$ ), გოგირდმჟავა ( $H_2SO_4$ ), კალიუმის ტუტე ( $KOH$ ).

**ცდის მსგლელობა:** აიღეთ ორი სინჯარა. ერთში ჩაასხით კალიუმის ქრომატი, ხოლო მეორეში – კალიუმის ბიქრომატის ხსნარი. I სინჯარაში დაამატეთ 1-2 მლ გოგირდმჟავა, ხოლო II-ში – რამდენიმე წვერი კალიუმის ტუტე. დააკვირდით ხსნარების შეფერილობის ცვლილებას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

### **ცდა 3. კალიუმის ბიქრომატი, როგორც დამჟანგავი**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, სპირ-ტქურა, კალიუმის ბიქრომატი ( $K_2Cr_2O_7$ ), განზ. გოგირდ-მჟავა ( $H_2SO_4$ ), ნატრიუმის სულფიტის ( $NaSO_3$ ) წყალ-სსნარი.

**ცდის მსგლელობა:** სინჯარაში ჩაასხით რამდენიმე მლ კალიუმის ბიქრომატის სსნარი, დაამატეთ რამდენიმე წვეთი განზ. გოგირდმჟავა და ნატრიუმის სულფიტის წყალსსნარი. ნარევი შეათბეთ. დააკვირდით შეფერილობის ცვლილებას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 4. მარილმჟავას ჟანგვა კალიუმის ბიქრომატით**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, სპირტ-ტქურა, კალიუმის ბიქრომატი ( $K_2Cr_2O_7$ ), კონც. მარილმჟავა ( $HCl$ ).

**ცდის მსგლელობა:** სინჯარაში ჩაასხით კალიუმის ბიქრომატის სსნარი, დაამატეთ რამდენიმე წვეთი კონც. მარილმჟავა. ნარევი გაახურეთ ნარინჯისფერი შეფერილობის მწვანე ფერში გადასვლამდე.

დააკვირდით ცდის მსგლელობას. რას ამჩნევთ?

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## ცდა 5. ქრომის (III) ჰიდროქსიდის მიღება და მისი თვისებები

მოწყობილობა და რეაქტივები: სინჯარა, ქრომის (III) მარილი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი ( $\text{NaOH}$ ), მარილმჟავა ( $\text{HCl}$ ).

**ცდის მსვლელობა:** ორ სინჯარაში ქრომის მარილისა და ნატრიუმის ჰიდროქსიდის ურთიერთქმედებით მიიღეთ ქრომის (III) ჰიდროქსიდი. აღნიშნეთ ნალექის ფერი. ერთ სინჯარაში დაუმატეთ ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ხოლო მეორეს – რამდენიმე წვეთი მარილმჟავა.

დააკვირდით ნალექების გახსნას ორივე სინჯარაში. დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## ლაპორატორიული სამუშაო № 13

### VII ჯგუფის თანაური ქვეჯგუფი

VII ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტებია Mn, Tc, Re. ამ ქვეჯგუფის ელემენტებიდან აღსანიშნავია მანგანუმი.

**მანგანუმი** (Mn) პერიოდული სისტემის მეოთხე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 25, ატომური მასა 54,938. ცნობილია მანგანუმის ხუთი ალოტროპიული მოდიფიკაცია 4 კუბური და ერთი ტეტრაგონალური კრისტალური მესრით,,

მანგანუმი მაგარი, მყიფე მოვერცხლისფრო-თეთრი ფერის ლითონია. ნაერთებში მანგანუმი ამჟღავნებს +2,+3, +4, +6 და +7 უანგვის ხარისხს. უმაღლესი დაუანგულობის ხარისხი შეესაბამება მის მდებარეობას პერიოდულ სისტემაში და საგალენტო ელექტრონების რიცხვს. ყველაზე მდგრადი უანგვის ხარისხია +4, რომელსაც ის ამჟღავნებს ბუნებრივ ნაერთში – მინერალი პიროლუზიტი  $MnO_2$ .

ერთი ტიპის ნაერთებში უანგვის ხარისხის გაზრდისას, შეიმჩნევა ფუძე-მჟავური და უანგვა-ალდგენითი თვისებების კანონზომიერი ცვლილება. დაუანგულობის ხარისხის ზრდასთან ერთად, ფუძე თვისებები სუსტდება, ხოლო მჟავური თვისებები ძლიერდება.

მანგანუმი წარმოქმნის რამდენიმე თქმიდს:  $MnO$  – ფუძე;  $Mn_2O_3$  – ფუძე;  $MnO_2$  – ამფოტერული;  $MnO_3$  – მჟავა;  $Mn_2O_7$  – მჟავა. პიდროჟსიდებს:  $Mn(OH)_2$  – ფუძე;  $Mn(OH)_3$  – ფუძე;  $Mn(OH)_4$  ან  $H_2MnO_3^-$  ამფოტერულია. მანგანუმის მჟავებია:  $H_2MnO_4$  და  $HMnO_4$ .

ჟანგვა-ალდგენითი ოვისებები დამოკიდებულია ჟანგვის ხარისხზე, მეტალური მანგანუმი – ალმდგენულია; ნაერთები, რომლებშიც ჟანგვის ხარისხი +7-ია დამჟანგველია. პრაქტიკაში დამჟანგველის სახით ხშირად გამოიყენება კალიუმის პერმანგანატი  $KMnO_4$ .

მანგანუმი ყველა მცენარისა და ცოცხალი ელემენტის შემადგენელი მიკროელემენტია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასიცოცხლო ფუნქციებზე.

## **ცდა 1. მანგანუმის (II) ჰიდროქსიდის მიღება და მისი თვისებები**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სამი სინჯარა, მინის წყირი, მანგანუმის (II) სულფატი ( $MnSO_4$ ), ნატრიუმის ტუტე (NaOH), გოგირდმჟავა ( $H_2SO_4$ ), ბრომიანი წყალი.

**ცდის მსგლელობა:** აიღეთ სამი სინჯარა. ჩაასხით 2-3 წვეთი მანგანუმის (II) სულფატი. თითოეულ სინჯარაში დაამატეთ 2-3 წვეთი ნატრიუმის ტუტე და დააკვირდით მანგანუმის ჰიდროქსიდის ნალექის წარმოქმნას. აღნიშნეთ მისი ფერი.

I სინჯარაში დაუმატეთ 5-6 წვეთი გოგირდმჟავა. რას ამჩნევთ?

II სინჯარაში ნარევს მოურიეთ მინის წყირით – შეიმჩნევა ნალექის ფერის ცვლილება.

III დაამატეთ 5-6 წვეთი ბრომიანი წყალი, ნალექის ფერი ამ შემთხვევაშიც იცვლება.

აღწერეთ ცდა, დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები: ა) მანგანუმის (II) ჰიდროქსიდის მიღების; ბ) მანგანუმის (II) ჰიდროქსიდის გოგირდმჟავასთან ურთიერთქმედების; გ) პაერზე დაჟანგვისას მანგანუმის (IV) ოქსიდის წარმოქმნის; დ) ბრომიანი წყლით დაჟანგვა მანგანუმის (IV) ოქსიდის წარმოქმნით.

## **ცდა 2. მანგანუმის (II) ოქსიდის ჟანგგა-ალდგენითი თვისებები**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, სპირტ-ქურა, შტატივი, ტიგელი, მანგანუმის (IV) ოქსიდი ( $MnO_2$ ), მანგანუმის (IV) ოქსიდის ( $MnO_2$ ) კრისტალები, კონც. მარილმჟავა ( $HCl$ ), კალიუმის ჰიდროქსიდის ( $KOH$ ) გრანულები, კალიუმის ნიტრატი ( $KNO_3$ ),

**ცდის მსვლელობა:** 1) მშრალ სინჯარაში შეიტანეთ მიკროშპატელი მანგანუმის (IV) ოქსიდი და დაამატეთ 3-4 წვეთი კონც. მარილმჟავა. შეიმჩნევა ქლორის გამოყოფა, თუ არ გამოიყოფა სინჯარა გააცხელეთ (ცდა ჩაატარეთ ამწოვ კარადაში!!!).

დაწერეთ რეაქციის ტოლობა. აღნიშნეთ მანგანუმის (IV) ოქსიდის როლი რეაქციაში.


2) ტიგელში მოათავსეთ კალიუმის ჰიდროქსიდის რამდენიმე გრანულა და ერთი მიკროშპატელი კალიუმის ნიტრატი. ნარევი გაადნეთ სპირტქურის ალზე, მიკროშპატელის წვერით შეიტანეთ მანგანუმის (IV) ოქსიდის რამდენიმე კრისტალი. აღნიშნეთ ნალექის ფერი.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 3. კალიუმის მანგანატის მიღება და თვისებები**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, კონც. კალიუმის (ან ნატრიუმის) ( $\text{KOH}$ ,  $\text{NaOH}$ ) ჰიდროქსიდი, კალიუმის პერმანგანატი ( $\text{KMnO}_4$ ), ქლორიანი (ან ბრომიანი) წყალი, კრისტალური ნატრიუმის სულფიტი ( $\text{Na}_2\text{SO}_3$ ), განზ. გოგირდმჟავა ( $\text{H}_2\text{SO}_4$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაახით 5-6 წვეთი კონც. კალიუმის (ან ნატრიუმის) ჰიდროქსიდი, დაამატეთ 3-4 წვეთი კალიუმის პერმანგანატი და ნარევი გააცხელეთ სპირტქურის ალზე, ხსნარის შეფერილობის შეცვლამდე (ზურმუხტისფერი-მომწვანო).



მიღებული კალიუმის მანგანატი გაანაწილეთ სამ სინჯარაში.

**პირველ სინჯარაში** დაამატეთ 4-5 წვეთი ქლორიანი (ან ბრომიანი) წყალი. დააკვირდით ხსნარის შეფერილობის ცვლილებას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა. აღნიშნეთ  $\text{K}_2\text{MnO}_4$ -ის ქლორის (ბრომის) როლი ამ რეაქციაში.

**მეორე სინჯარაში** დაამატეთ კრისტალური ნატრიუმის სულფიტი, ხსნარი გაუფერულდება, წარმოიქმნება  $\text{MnO}_2$ -ის ყავისფერი ნალექი.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

**მესამე** სინჯარაში წვეთობით დაამატეთ განზ.  
გოგირდმჟავა. დაკვირდით რეაქციის მიმდინარეობას.  
დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

#### **ცდა 4. სარეაქციო არის გავლენა კალიუმის პერმანგანატის თვისებებზე**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარები, კალიუ-  
მის პერმანგანატის ( $KMnO_4$ ) და ნატრიუმის სულფიტის  
( $Na_2SO_3$ ) ხსნარები.

**ცდის მსვლელობა:** სამ სინჯარაში ჩაასხით კა-  
ლიუმის პერმანგანატის ხსნარი და დაამატეთ ნატრიუმის  
სულფიტის ხსნარი. პირველ სინჯარაში რეაქცია ჩაატა-  
რეთ მჟავე არეში, მეორეში – ნეიტრალურ, ხოლო მესა-  
მეში – ტუტე არეში.

აღწერეთ ცვლილებები თითოეულ სინჯარაში  
რეაქციის მიმდინარეობისას. გაითვალისწინეთ, რომ მჟავე  
არეში პერმანგანატის ( $MnO_4^-$ ) იონი აღდგება  $Mn^{+2}$ -მდე,  
ნეიტრალურში – მანგანუმის (IV) ოქსიდამდე ( $Mn^{+4}$ ),  
ხოლო ტუტე არეში – მანგანატ ( $MnO_4^{2-}$ ) იონამდე ( $Mn^{+6}$ ).

გააკეთეთ დასკვნა, როგორ იცვლება კალიუმის  
პერმანგანატის ჟანგვითი თვისებები სხვადასხვა არეში.  
დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## ლაპორატორიული სამუშაო № 14

### VIII ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტები

VIII ჯგუფის თანაური ქვეჯგუფის ელემენტებია Fe, Co, Ni. მიეკუთვნებიან დ ელემენტებს. ფიზიკური და ქიმიური თვისებებით ისინი ემსგავსებიან ერთმანეთს და ამიტომ მათ განიხილავენ, როგორც „რკინის ოჯახის“ ელემენტებს.

ამ ჯგუფის მეტალები ურთიერთქმედებს მარილ-მჟავასა და განზ. გოგირდმჟავასთან. კონც. გოგირდ-მჟავასა და აზოტმჟავასთან პასიურდებიან. რკინის და კობალტის განზ. აზოტმჟავასთან ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება  $\text{Fe}(\text{NO}_3)_3$  და  $\text{Co}(\text{NO}_3)_2$ , ხოლო ნიკელის –  $\text{Ni}(\text{NO}_3)_2$ . რკინა და კობალტი ურთიერთქმედებს კონც. ტუ-ტექნიკური გახურებისას, რაც მიუთითებს მათ სუსტ ამფო-ტერულობაზე. მათვის ძირითადად დამახასიათებელია +2 და +3 ჟანგვის ხარისხი. რკინა, კობალტისა და ნიკე-ლისაგან განსხვავებით, წარმოქმნის ნეართებს (ფერა-ტექნიკის) სადაც დაჟანგულობის ხარისხი +6-ია.

რკინა (Fe) პერიოდული სისტემის მეოთხე პერიო-დის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 26, ატომური მასაა 55,845.

რკინა მოვერცხლისფრო-თეთრი ფერის ჭედადი ლითონია. დედამიწის ქერქში ყველაზე მეტად გავრცელე-

ბული ლითონია (ალუმინის შემდეგ). მისი მაქსიმალური გალენტობა + 6-ია და არ შეესაბამება ჯგუფის ნომერს (8 ვალენტიანი რკინის ნაერთები ცნობილი არაა). ბუნებრივი რკინა არსებობს ოთხი სტაბილური იზოტოპის სახით  $^{54}\text{Fe}$  (5,845 %),  $^{56}\text{Fe}$  (91,754 %),  $^{57}\text{Fe}$  (2,119 %) და  $^{58}\text{Fe}$  (0,282 %).

**კობალტი** (Co) პერიოდული სისტემის მეოთხე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 27, ატომური მასაა 58,933.

კობალტი მყარი, მოვერცხლისფრო-თეთრი, ცოტა-თი მოყვითალო-მოვარდისფრო ან მოლურჯო ელფერის ლითონია. არსებობს ორი კრისტალური მოდიფიკაცია  $\alpha$ -Co და  $\beta$ -Co. კობალტი სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი მიკროელემენტია, შედის  $\text{B}_{12}$  ვიტამინს შემადგენლობაში.

**ნიკელი** (Ni) პერიოდული სისტემის მეოთხე პერიოდის ელემენტია, რიგობრივი ნომერია 28, ატომური მასაა 58,71.

ნიკელი მოვერცხლისფრო-თეთრი მანინვარე ლითონია, ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ჰაერზე იფარება ოქსიდის თხელი ფენით, ქიმიურად ნაკლებად აქტიურია. ცნობილია ბუნებრივი ნიკელის 5 სტაბილური იზოტოპი:  $^{58}\text{Ni}$  (68,27 %),  $^{60}\text{Ni}$  (26,10 %),  $^{61}\text{Ni}$  (1,13 %),  $^{62}\text{Ni}$  (3,59 %),  $^{64}\text{Ni}$  (0,91 %).

## ცდა 1. რკინის ურთიერთქმედება მჟავებთან

მოწყობილობა და რეაქტივები: სინჯარები, სპირტ-ქურა, 2N მარილმჟავას (HCl), გოგირდმჟავას ( $H_2SO_4$ ) და აზოტმჟავას ხსნარები (HNO<sub>3</sub>), კონც. გოგირდმჟავა, რკინის ნაქლიბი.

ცდის მსვლელობა: სამ სინჯარაში ჩაასხით 2N მარილმჟავას, გოგირდმჟავას და აზოტმჟავას ხსნარის 5-5 წვეთი. მეოთხე სინჯარაში ჩაასხით კონც. გოგირდმჟავა. თითოეულ სინჯარაში მოათავსეთ რკინის ნაქლიბი, მეოთხე სინჯარა გააცხელეთ. დააკვირდით რეაქციის მიმდინარეობას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობები.

## ცდა 2. რკინის (II) კარბონატის მიღება

მოწყობილობა და რეაქტივები: ქიმიური ჭიქა, რკინის (II) სულფატი ( $FeSO_4$ ), ნატრიუმის კარბონატის ხსნარი ( $Na_2CO_3$ ).

ცდის მსვლელობა: ქიმიურ ჭიქაში ჩაასხით წყალი და აადუდეთ, გახსენით მასში რკინის (II) სულფატი და დაამატეთ ნატრიუმის კარბონატის ხსნარი. გამოიყოფა რკინის (II) კარბონატის ოეთრი ფერის ნალექი.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 3. რკინის (II) ქლორიდი, როგორც მჟანგავი**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, რკინის (II) ქლორიდი ( $\text{FeCl}_2$ ), კალიუმის იოდიდი ( $\text{KI}$ ).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით რკინის (II) ქლორიდის ხსნარი და დაამატეთ რამდენიმე მლ კალიუმის იოდიდის ხსნარი. დააკვირდით ცდის მიმდინარეობას.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

### **ცდა 4. რკინის ფერიციანიდის მიღება**

**მოწყობილობა და რეაქტივები:** სინჯარა, რკინა (III)-ის ქლორიდის ( $\text{FeCl}_3$ ) და კალიუმის ფერიციანიდის ( $\text{K}_4[\text{Fe}(\text{CN})_6]$ ) ხსნარები, კალიუმის ტუტე (KOH).

**ცდის მსვლელობა:** სინჯარაში ჩაასხით რკინის (III) ქლორიდის ხსნარის 2-3 მლ და დაამატეთ იმავე მოცულობის კალიუმის ფერიციანიდი  $\text{K}_4[\text{Fe}(\text{CN})_6]$  (სისხლის ყვითელი მარილი). აღნიშნეთ ნალექის ფერი. ნალექს დაუმატეთ კალიუმის ტუტე.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## ცდა 5. რკინის ფერიციანიდის მიღება

მოწყობილობა და რეაქტივები: სინჯარა, რკინის (II) სულფატისა ( $\text{FeSO}_4$ ) და კალიუმის ფერიციანიდის ( $\text{K}_3[\text{Fe}(\text{CN})_6]$ ) ხსნარები, კალიუმის ტუტე (KOH).

ცდის მსვლელობა: სინჯარაში ჩაასხით რკინის (II) სულფატის ხსნარის 2-3 მლ და დაამატეთ იმავე მოცულობის კალიუმის ფერიციანიდი  $\text{K}_3[\text{Fe}(\text{CN})_6]$  (სისხლის წითელი მარილი). აღნიშნეთ ნალექის ფერი. ნალექს დაუმატეთ კალიუმის ტუტე.

დაწერეთ შესაბამისი რეაქციის ტოლობა.

## **ლიტერატურა**

1. ი. შათირიშვილი, ქ. ბერიაშვილი. ლაბორატორიული პრაქტიკუმი ზოგად და არაორგანულ ქიმიაში. თბილისი, უნივერსალი, 2012, 259 გვ.
2. გ. ჭირაქაძე, დ. ბიბილეიშვილი. გავიმეოროთ ქიმია. ნაწილი I, თბილისი, ევრიკა, 1992.
3. გ. ტყემალაძე. არაორგანული და ორგანული ქიმია. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981, 299 გვ.
4. გ. ცინცაძე, ნ. კუციავა, ნ. გეგეშიძე. არაორგანული ქიმიის სამუშაო რვეული (ლაბორატორიული სამუშაოები). თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013, 48 გვ.
5. გ. ცინცაძე, ლ. ნაფეტგრიძე, ლ. ნაგორნია, ნ. მაისურაძე, ნ. კუციავა. ზოგადი და კოორდინაციული ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2000, 187 გვ.
6. Н.П. Бакаева, О.Л. Салтыкова. Неорганическая химия, Практикум, Никель, РИЦСГСХА, 2016, 173 с.
7. Определение жесткости воды (титриметрический метод) Методические указания к лабораторной работе. Составители: Олисова Г. Н., Ульянова Н.И. Великий Новгород, 2011, 16 с.
8. Е. Р. Андросюк, В. В. Майзель, О. О. Тужиков. Руководство к лабораторно-практическим занятиям по неорганической химии. Учебное пособие. Волгоград, ВолгГТУ, 2015, 98 с.
9. Стась Н.Ф., Плакидкин А.А., Князева Е.М. Лабораторный практикум по общей и неорганической химии. Учебное пособие. – Томск: Изд-во ТПУ, 2007, 207 с.
10. [10.http://mastsavlebeli.ge/uploads/qimia/Chem%20Experiment.pdf](http://mastsavlebeli.ge/uploads/qimia/Chem%20Experiment.pdf)

## სარჩევი

შესავალი	3
ქიმიურ ლაბორატორიებში მუშაობის უსაფრთხოების ზოგადი წესები	5
ქიმიური ჭურჭელი	8
<b>ლაბორატორიული სამუშაო №1</b>	15
ცდა 1. წყალბადის მიღება თუთიაზე მჟავას მოქმედებით	17
ცდა 2. წყალბადის ზეჟანგი, როგორც მჟანგავი	18
ცდა 3. წყალბადის ზეჟანგი, როგორც აღმდგენი	18
ცდა 4. წყალბადის ზეჟანგის დაშლა	19
<b>ლაბორატორიული სამუშაო №2</b>	20
ცდა 1. ნატრიუმის ჰიდროქსიდის მიღება	24
ცდა 2. ნატრიუმის ჰიდროქსიდის თვისებები	25
ცდა 3. ტუტე ლითონებით ალის შეფერვა	26
<b>ლაბორატორიული სამუშაო № 3</b>	27
ცდა 1. მაგნიუმის ჰიდროქსიდის მიღება	32
ცდა 2. მაგნიუმის ფუძე მარილის მიღება	32
ცდა 3. მეტალური მაგნიუმის თვისებები	33
ცდა 4. წყლის დროებითი სიხისტის განსაზღვრა	33
<b>ლაბორატორიული სამუშაო № 4</b>	35
ცდა 1. ბორმჟავას აღმოჩენა	38
ცდა 2. ორთობორმჟავას მიღება	38
ცდა 3. ალუმინის ურთიერთქმედება მჟავებთან	39
ცდა 4. ალუმინის ჰიდროქსიდის მიღება და მისი თვისებები	39
<b>ლაბორატორიული სამუშაო № 5</b>	40
ცდა 1. ნახშირმჟავას მიღება	43
ცდა 2. აზოტმჟავას ურთიერთქმედება ნახშირთან	43

<b>ცდა 3.</b> ნახშირბადის ორჟანგის მიღება	44
<b>ცდა 4.</b> ზოგიერთი მცირედ სხვადი ნახშირმჟავა მარილის მიღება	44
<b>ცდა 5.</b> სილიციუმმჟავას მცირედ სხვადი მარილის მიღება	45
<b>ცდა 6.</b> ნატრიუმის სილიკატის პიდროლიზი	45
 <b>ლაბორატორიული სამუშაო № 6</b>	
<b>ცდა 1.</b> აზოტის მიღება ამონიუმის ნიტრიტის დაშლით	48
<b>ცდა 2.</b> ამიაკის მიღება და ოვისებები	49
<b>ცდა 3.</b> ამიაკის აღმდგენი ოვისება	50
<b>ცდა 4.</b> ამონიუმის იონის აღმოჩნა	50
<b>ცდა 5.</b> თუთიაზე კონც. აზოტმჟავას მოქმედება	51
<b>ცდა 6.</b> თუთიაზე ძლიერ განხ. აზოტმჟავას მოქმედება	51
<b>ცდა 7.</b> აზოტოვანი მჟავის მიღება და დაშლა	52
<b>ცდა 8.</b> ნიტრიტი, როგორც მჟანგელი	53
<b>ცდა 9.</b> ნიტრიტი, როგორც აღმდგენელი	53
 <b>ლაბორატორიული სამუშაო № 7</b>	
<b>ცდა 1.</b> წითელი ფოსფორის გარდაქმნა თეთრ ფოსფორად	57
<b>ცდა 2.</b> კალციუმის ფოსფატის მიღება	58
<b>ცდა 3.</b> კალციუმის ფოსფატის მიღება	58
<b>ცდა 4.</b> $PO_4^{3-}$ იონის აღმოჩნა	59
 <b>ლაბორატორიული სამუშაო № 8</b>	
<b>ცდა 1.</b> ჟანგბადის მიღება ბერთოლეს მარილის დაშლით	60
<b>ცდა 2.</b> ჟანგბადის მიღება კალიუმის პერმანგანატის დაშლით	63
<b>ცდა 3.</b> გოგირდის მიღება	64
<b>ცდა 4.</b> გოგირდის ჟანგვა-აღდღენითი ოვისებები	64
<b>ცდა 5.</b> კონცენტრირებული გოგირდმჟავას ჟანგვითი ოვისებები	65
<b>ცდა 6.</b> გოგირდმჟავას წყალწამრთმევი ოვისებები	65
<b>ცდა 7.</b> განზავებული გოგირდმჟავას ურთიერთქმედება მეტალებთან	66

<b>ცდა 8. <math>\text{SO}_4^{2-}</math>-ის აღმოჩენა</b>	<b>67</b>
<b>ლაბორატორიული სამუშაო № 9</b>	<b>68</b>
ცდა 1. ქლორის მიღება	73
ცდა 2. იოდის მიღება	73
ცდა 3. ქლორწყვალბადის მიღება	74
ცდა 4. ბრომწყვალბადისა და იოდწყვალბადის მიღება	75
ცდა 5. საღებავების გაუფერულება ქლორიანი წელით	75
ცდა 6. შეღებილი ქსოვილის გაუფერულება ქლორით	76
ცდა 7. ქლორ-, ბრომ- და იოდ-იონების აღმოჩენა	76
ცდა 8. კალიუმის ქლორატის თვისებები	77
ცდა 9. კალიუმის ქლორატის ურთიერთქმედება კალიუმის იოდიდთან	78
ცდა 10. კალიუმის ქლორატის ურთიერთქმედება მჟავასთან	78
<b>ლაბორატორიული სამუშაო №10</b>	<b>79</b>
ცდა 1. სპილენის მიღება	81
ცდა 2. სპილენის ჰიდროქსიდის მიღება და თვისებები	81
ცდა 3. სპილენის ფუძე-სულფატის მიღება	82
ცდა 4. ვერცხლის სარკის რეაქცია	82
ცდა 5. ვერცხლის ოქსიდის მიღება	83
<b>ლაბორატორიული სამუშაო №11</b>	<b>84</b>
ცდა 1. თუთიის გახსნა მჟავებსა და ტუტებში	86
ცდა 2. თუთიისა და კადმიუმის ჰიდროქსიდების მიღება და თვისებები	86
<b>ლაბორატორიული სამუშაო № 12</b>	<b>88</b>
ცდა 1. წყალში უხსნადი ქრომატების მიღება	90
ცდა 2. ქრომატის ბიქრომატში გადასვლა და პირიქით	90
ცდა 3. კალიუმის ბიქრომატი, როგორც დამჟანგავი	91
ცდა 4. მარილმჟავას ჟანგვა კალიუმის ბიქრომატით	91
ცდა 5. ქრომის (III) ჰიდროქსიდის მიღება და მისი თვისებები	92

<b>ლაპორატორიული სამუშაო № 13</b>	<b>93</b>
ცდა 1. მანგანუმის (II) პიდროქსიდის მიღება და მისი თვისებები	95
ცდა 2. მანგანუმის (II) ოქსიდის უანგვა-ალდგენითი თვისებები	96
ცდა 3. კალიუმის მანგანატის მიღება და თვისებები	97
ცდა 4. სარეაქციო არის გავლენა კალიუმის პერმანგანატის თვისებებზე	98
<b>ლაპორატორიული სამუშაო № 14</b>	<b>99</b>
ცდა 1. რკინის ურთიერთქმედება მჟავებთან	101
ცდა 2. რკინის (II) კარბონატის მიღება	101
ცდა 3. რკინის (II) ქლორიდი, როგორც მჟანგავი	102
ცდა 4. რკინის ფერიციანიდის მიღება	102
ცდა 5. რკინის ფერიციანიდის მიღება	103
<b>ლიტერატურა</b>	<b>104</b>

რედაქტორი ნ. სუხიტაშვილი

გადაეცა წარმოებას 07.12.2017. ზელმოწერილია დასაბეჭდად  
19.12.2017. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 7.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“,  
თბილისი, კოსტავას 77

